



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)
"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)
"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
"ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
"ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წლის 8-10 ოქტომბერი

29.10.2024

თბილისი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	16
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	16
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	54
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	75
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	86
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	122

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	212693049

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ტალინი, ესტონეთი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ ზერაგია, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი, შპს ჯიბე, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	საჯარო მმართველობა	ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში	სატრანსპორტო ლოგისტიკა	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მე - 6	მე - 6	მე - 7	მე - 7	მე - 7	მე - 7	მე - 8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბაკალავრი	ბაკალავრი	მაგისტრი	მაგისტრი	მაგისტრი	მაგისტრი	დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ინგლისური	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	240	120	120	120	120	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	ავტორიზებული	ახალი	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

კლასტერში დაჯგუფებულია შემდეგი პროგრამები: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (180 კრედიტი); "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (240 კრედიტი); "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო; "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო; "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო; "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო; "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამები. შერჩეული პროგრამები ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ წარმატებით განახორციელონ კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა შემენილი დარგობრივი ცოდნის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და ტრანსფერული უნარების გამოყენებით თანამედროვე გამოწვევების და ინოვაციების ფონზე.

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) - ახალი პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი".

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი). პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1, 09.01.2019). მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი". გამოცხადებული სტუდენტების ადგილების რაოდენობა - 150, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა 561, აპლიკანტების საერთო რაოდენობა 1193 (უახლესი მონაცემები).

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №196, 08.11.2019). მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი". გამოცხადებული სტუდენტების ადგილების რაოდენობა - 20, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა 49, აპლიკანტების საერთო რაოდენობა 20 (უახლესი მონაცემები).

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "საჯარო მმართველობის მაგისტრი". გამოცხადებული სტუდენტების ადგილების რაოდენობა - 20, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა 15, აპლიკანტების საერთო რაოდენობა 4 (უახლესი მონაცემები).

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება 2013 წლიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №136, 08.10.2013) ERASMUS+ და პროექტ MAHATMA - ს ფარგლებში. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "განათლების მენეჯმენტის მაგისტრი". გამოცხადებული სტუდენტების ადგილების

რაოდენობა - 11, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა 5, აპლიკანტების საერთო რაოდენობა 3 (უახლესი მონაცემები).

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ახალი პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სატრანსპორტო ლოგისტიკაში".

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ახალი პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი".

2012 - დან 2023 წლამდე განხორციელდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების გაუმჯობესება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რჩევების საფუძველზე. ცვლილებები მოიცავდა სტუდენტებისთვის მეტი არჩევანის უზრუნველყოფის მიზნით არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდას, ზოგიერთი კურსის სახელწოდების დაზუსტებას, სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებას, სასწავლო მასალების განახლებას, საბაკალავრო პროგრამებში უცხო ენის კურსების მოდიფიცირებას და შეფასების სისტემის დახვეწას სწავლის მიზნებთან უკეთ შესაბამისობისთვის.

ახალი პროგრამები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 / ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" კომპეტენციის აღმწერის და აღნიშნული ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის", აკრედიტაციის სტანდარტების და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების რჩევების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 8 - 10 ოქტომბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ყოვლისმომცველი თვითშეფასების ანგარიში და დამატებითი დოკუმენტაცია, როგორცაა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსების დეტალები, პროგრამის სილაბუსები, სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო, ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სახელმძღვანელო.

ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის ადმინისტრაციას, პროგრამის მმართველ გუნდს, თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ჯგუფს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აკადემიურ პერსონალს (როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს), სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და შესაბამისი სასწავლო პროგრამების სტუდენტებს. ყველა მონაწილე თანამშრომლობდა ექსპერტთა

ჯგუფთან და გამოხატავდა მზაობას ღია და კონსტრუქციულ დისკუსიებში ჩასართავად. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის და გასაუბრებების შესახებ კმაყოფილდებოდა სწრაფად და პროფესიონალურად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულწრფელი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილის თანამშრომლობისთვის, დამატებითი ინფორმაციის და უკუკავშირის წარმოდგენის სურვილისთვის და ვიზიტის განმავლობაში მეგობრული და პროდუქტიული ატმოსფეროს შექმნისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და შეაფასა აწსუ - ს მიერ ვიზიტამდე წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ვიზიტის დროს მიღებული დამატებითი დოკუმენტაცია, გააანალიზა გასაუბრებების დროს მიღებული ყველა ინფორმაცია და შეექმნა დადებითი შთაბეჭდილება შესაფასებლად წარმოდგენილი კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ზოგადად, პროგრამები მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს და სრულად შეესაბამება მეორე სტანდარტს. შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დასკვნაში.

- **რეკომენდაციები**

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები შემდეგია:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა, რომელიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებს და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებს.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა.
- რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსების ლიტერატურის ნაწილში მითითებული ბმულები იმისათვის, რომ მითითებული იყოს არსებული რესურსები.
- რეკომენდებულია, პროგრამის მიმდინარე შედეგებთან შესაბამისობის გაძლიერების მიზნით განალხდეს არსებული მემორანდუმები.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა სემესტრულ გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის გზით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა.
- რეკომენდებულია, პერსონალის რეალური დატვირთვის გადახედვა და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების გუნდთან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში მათი ეფექტური ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების დროს უფლებების, პასუხისმგებლობების და ამოცანების დელეგირებას.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით, საფუძვლიანად იქნას შესწავლილი პროგრამების რუკები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმები. გარდა ამისა, პროგრამებისთვის უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური სამიზნე ნიშნულები და პროგრამების განმახორციელებელ გუნდთან ჩატარდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები.
- რეკომენდებულია, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული გარე ექსპერტიზის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები, მნიშვნელოვანი და განმავითარებელი რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინების მიზნით.

კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხელახლა განისაზღვროს სასწავლო პროგრამის მიზანი იმისათვის, რომ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალური ორიენტაცია.
- რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კურსის საფუძველზე.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების გადახედვა იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის აკადემიურ მიზნებს.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხელახლა განისაზღვროს სასწავლო პროგრამის მიზანი იმისათვის, რომ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალური ორიენტაცია.
- რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კურსის საფუძველზე.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის აკადემიურ მიზნებს.

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაციის მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა 8 - დან 10 - მდე.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები ბიზნესში" შეიცვალოს კურსით "კვლევის მეთოდები ლოგისტიკაში" ან კურსში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი ლიტერატურის და ლოგისტიკის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული თემები.

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო დონეზე და მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კონკრეტული მიზნის ფორმულირება იმისათვის, რომ ხაზი გაესვას დარგში სამეცნიერო ჩართულობის მაღალ დონეს და მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას.
- რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაში შემუშავდეს აკადემიური წერის სავალდებულო კურსი.

• რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის ზოგადი რჩევები შემდეგია:

- სასურველია, უნივერსიტეტის მისიასთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიზანებში ხაზი გაესვას სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტს.
- სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს სასწავლო გეგმაში ხელოვნური ინტელექტის წარმატებული ინტეგრაციის შესაძლებლობა.
- სასურველია, ყველა პროგრამაში განხორციელდეს არჩევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო რაოდენობის სტანდარტიზაცია.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამებში მდგრადი განვითარების კომპონენტის ჩართვა, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სხვადასხვა განზომილებაზე ორიენტაციით.
- ინკლუზიურობის მხარდაჭერის მიზნით, შესაძლებელია უცხოელი აპლიკანტების (საერთაშორისო სტუდენტების) ჩართულობის გაუმჯობესება.
- სასურველია, სილაბუსებში ან პროგრამის სტრუქტურაში უფრო დეტალურად იქნას გაწერილი კულტურულად მგრძნობიარე ცვლილებები ან საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებები.
- სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოკითხვის შედეგების პრობლემურ ნაწილებს, იმისათვის, რომ დროულად გადაიდგას შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები.
- სასურველია, პერსონალის რეზიუმეების განახლება, გამომცემლობების და პუბლიკაციების ბმულების სრული ინფორმაციის მითითებით.
- სასურველია, გამოიყოს რესურსები სასწავლო აუდიტორიების მოდერნიზების მიზნით.
- სასურველია, გამოიყოს რესურსები ბიბლიოთეკის აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი).
- სასურველია, გამოიყოს რესურსები კომპიუტერული სისტემების განახლებისთვის.

- სასურველია, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით, ადგილობრივი და უცხოური გრანტების და ფონდების მოზიდვით, ერთობლივი პროგრამების განხორციელებით გაიზარდოს პროგრამების ბიუჯეტი.
- სასურველია, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინიცირება გაუკეთოს ტრენინგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, სასურველია პროგრამების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსი ხელოვნური ინტელექტის შესახებ.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების გუნდმა გაითვალისწინოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევა და დამატებითი სერვისების შეთავაზებით მათემატიკური განათლების შემდგომი გაძლიერება პროგრამების დონეზე.

კონკრეტული რჩევები პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.
- სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მუდმივად ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევ(ებ)ი

- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.
- სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მუდმივად ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რჩევები:

- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.

- სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მუდმივად ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია, მომავალში დარგის პრაქტიკოსების მეტი ჩართულობით გაიზარდოს მოწვეული პერსონალის რაოდენობა.
- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.
- სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მუდმივად ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)¹
 - ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ აკრედიტაციის ანგარიშზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტაციასთან დაკავშირებით, გვსურს შემდეგი კომენტარები გავაკეთოთ:

ჩვენ ვეთანხმებით უსდ-ის შემდეგ დებულებებს:

პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

რეკომენდაცია 1 - საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაციის მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა 8 - დან 10 - მდე. მოხდა ტექნიკური შეცდომა, ეს რეკომენდაცია მისაღებია სამაგისტრო პროგრამისთვის "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" შესაბამისად, შევიტანეთ ცვლილებები დასკვნაში.

პროგრამა 7 - ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცია 3 - რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია მოხდა ტექნიკური შეცდომა - შევიტანეთ ცვლილებები დასკვნაში.

- უსდ-ის მიერ აღნიშნული ტექნიკური შეცდომები - პირველი გასწორებულია, მეორე ESG იმპლემენტაციასთან დაკავშირებით - ფორმულირება შეიცვალა სრულყოფილი განმარტებისთვის.
 - სხვა არგუმენტების შემთხვევაში, ვაფასებთ უსდ-ის პასუხს, თუმცა ჩვენ ვინარჩუნებთ ჩვენს პოზიციას და მიგვაჩნია, რომ რეკომენდაციები სარწმუნო და რელევანტურია კლასტერის პროგრამებისთვის.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თვითშეფასების ანგარიშის და აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ - ს წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, წინა აკრედიტაციის შედეგად უსდ - ს მიერ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამა 2 - "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება.

სავალდებულო კომპონენტს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: "ოპერაციების მენეჯმენტი", "საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში", "ზოგადი აუდიტი", "ციფრული მარკეტინგი", "ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" და "ბიზნეს სამართალი". გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გარკვეული სასწავლო კურსები გაიარონ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე: "ზოგადი აუდიტი", "საბანკო საქმე" და სხვა.

დაზუსტდა წინაპირობები;

განახლდა ლიტერატურა;

შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა;

ახლად შექმნილი ბიზნესის ადმინისტრირების (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დამატებით (Minor) პროგრამებში "ბიზნესის ადმინისტრირება" და "აგრობიზნესის მენეჯმენტი" დაზუსტდა კურსები და კრედიტები.

პროგრამა 3 - "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება;

სავალდებულო კომპონენტს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: "კრიზისების მართვა", "ბიზნესის სამართლებრივ - ეკონომიკური რეგულირება", "მეწარმეობა და ინოვაციური ტექნოლოგიები", "ბიზნეს ეთიკა გლობალურ გარემოში", "სტრატეგიული მარკეტინგი", "ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა", "მენეჯერული ეკონომიკა".

შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 4 - "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ, "საჯარო მმართველობის" სოციალური მეცნიერებების სფეროდან ბიზნესის და ადმინისტრირების სფეროში გადატანის შედეგად, მნიშვნელოვნად განახლდა პროგრამა, შეიცვალა სასწავლო კურსების უმრავლესობა და სავალდებულო კურსების ბლოკში გადავიდა შემდეგი საგნები: "საკადრო პოლიტიკა საჯარო ორგანიზაციებში", "ციფრული დემოკრატია საინფორმაციო საზოგადოებაში", "რეგულირების ზეგავლენის შეფასება", "ევროკავშირის სამართალი და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე", "მდგრადი განვითარება და გარემოს მართვა", "ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები" და სხვა.

შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა.

ასევე, 2022 წელს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა გადაიხედა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" კომპეტენციის აღმწერის და ამავე ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის", აკრედიტაციის სტანდარტების და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერული შეფასება

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი/შემოქმედებითი /სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტის ვებგვერდზე "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზრის მოთხოვნად სამივე საფეხურის აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს; საერთაშორისო თანამშრომლობით, ინტერნაციონალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართულობით და ინკლუზიური გარემოს შექმნით წარმართავს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, პროფესიონალებად და ლიდერებად ჩამოყალიბებას. უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების მხარდაჭერას" (<https://atsu.edu.ge/en/info>). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგია და მისია ხაზს უსვამს მაღალი აკადემიური სტანდარტების მიღწევის მნიშვნელობას, ამავდროულად საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას და სამეცნიერო კვლევებში სრულყოფილების მიღწევას. აღნიშნული მოიცავს შრომის ბაზართან მჭიდრო

თანამშრომლობას და საზოგადოების მხარდაჭერას. ინტერნაციონალიზაცია მიღწეულია უცხოურ უნივერსიტეტებში სტუდენტების გაცვლების, ERASMUS - ის და სხვა პროექტებში მონაწილეობის და ევროპულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით. აღნიშნული შეესაბამება უსდ - ს სტრატეგიას მდგრადობის ხელშეწყობით და პერსონალის განვითარებისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კურსების შეთავაზებით.

შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზანია პროფესიონალების აღჭურვა მათი სფეროს რელევანტური ფართო ცოდნით და უნარებით, რაც მყარ თეორიულ საფუძვლებს აერთიანებს პრაქტიკულ გამოცდილებასთან და შეესაბამება დადგენილ მისიას.

მიუხედავად ამისა, კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს დამატებით ღირებულებას შესძენს მათ მიზნებში სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტის უფრო მკაფიოდ გამოკვეთა იმისათვის, რომ გაძლიერდეს უსდ - ს მისიასთან მათი შესაბამისობა.

ზოგადად, სასწავლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტურია და ასახავს სწავლის პროცესის დასრულებისას კურსდამთავრებულების მიერ მისაღწევ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ აღნიშნული მიზნები შემუშავებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით, ადგილობრივი და საერთაშორისო თანამედროვე შრომის ბაზრის საჭიროებების და მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროს უახლესი მიღწევების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი)

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ამჟამინდელი მიზანია:

1. მისცეს ბაკალავრებს ფართო თეორიული ცოდნა ბიზნესის ძირითადი სფეროების ფუნქციური და დარგობრივი თავისებურებების შესახებ;
 2. განავითაროს მათი ეფექტური პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა ბიზნესის სფეროში საქმიანობისთვის;
 3. განუვითაროს ბიზნესგარემოში მიმდინარე მოვლენების კრიტიკულად შეფასების, თავიანთი კომპეტენციის დონის ფარგლებში გადაწყვეტილების დაგეგმვის და განხორციელების უნარი.
- გარკვეულწილად ზოგადი ხასიათისაა. ზემოაღნიშნული მიზნები შეიძლება მიესადაგოს ბიზნესის სფეროს სხვადასხვა პროგრამას. შესაბამისად, ვლინდება სპეციფიკურობის ნაკლებობა, რომელიც უნდა ასახავდეს ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო გეგმის უნიკალურ ორიენტაციას.

შესაბამისად, იმისათვის, რომ გაძლიერდეს პროგრამის განსხვავებულობა და ეფექტურობა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გადაიხედოს და ხელახლა განისაზღვროს პროგრამის მიზნები. უფრო მორგებული მიზნების შემუშავებით პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს, რომ სტუდენტები მიიღებენ მიზნობრივ ცოდნას და უნარებს, რომლებიც შეესაბამება იმ კონკრეტულ გამოწვევებს და

შესაძლებლობებს, რომლებსაც ისინი, სავარაუდოდ აღმოაჩენენ პროფესიულ კარიერაში. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს უფრო ეფექტური საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებას და კურსდამთავრებულების უკეთ მომზადებას ბიზნეს გარემოში წარმატების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ამჟამინდელი მიზანია:

1. მისცეს ბაკალავრებს ფართო თეორიული ცოდნა ბიზნესის ძირითადი სფეროების ფუნქციური და დარგობრივი თავისებურებების შესახებ;
 2. განავითაროს მათი ეფექტური პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა ბიზნესის სფეროში საქმიანობისთვის;
 3. განუვითაროს ბიზნეს გარემოში მიმდინარე მოვლენების კრიტიკულად შეფასების, თავიანთი კომპეტენციის დონის ფარგლებში გადაწყვეტილების დაგეგმვის და განხორციელების უნარი.
- გარკვეულწილად ზოგადი ხასიათისაა. ზემოაღნიშნული მიზნები შეიძლება მიესადაგოს ბიზნესის სფეროს სხვადასხვა პროგრამას. შესაბამისად, ვლინდება სპეციფიკურობის ნაკლებობა, რომელიც უნდა ასახავდეს ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო გეგმის უნიკალურ ორიენტაციას.

შესაბამისად, იმისათვის, რომ გაძლიერდეს პროგრამის განსხვავებულობა და ეფექტურობა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გადაიხედოს და ხელახლა განისაზღვროს პროგრამის მიზნები. უფრო მორგებული მიზნების შემუშავებით პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს, სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი ცოდნა და უნარები, რომლებიც შეესაბამება იმ კონკრეტულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს, რომლებსაც ისინი, სავარაუდოდ აღმოაჩენენ პროფესიულ კარიერაში. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს უფრო ეფექტური საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებას და კურსდამთავრებულების უკეთ მომზადებას ბიზნესგარემოში წარმატების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ცვალებად გარემოში ბიზნეს პროცესების სიტუაციური შეფასების, მენეჯერული გადაწყვეტილებების შემუშავების და ციფრულ ეპოქაში ბიზნეს ურთიერთობების ტრანსფორმაციის შესახებ;

განუვითაროს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანიის საჭიროებების, პრობლემების და ბაზარზე არსებული შესაძლებლობების ანალიზის, შეფასების, სტრატეგიის შემუშავების და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;

განუვითაროს სამეცნიერო და კორპორაციულ დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით ღრმა და სისტემური კვლევების განხორციელების უნარი.

დასახული მიზნები პასუხობს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი ბიზნეს გარემოს გამოწვევებს, განსაკუთრებით ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში. სიტუაციურ შეფასებებზე და სტრატეგიულ

გადაწყვეტილებებზე ორიენტაციით, პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს აუცილებელი ანალიტიკური უნარებით კომპლექსური საბაზრო პირობების სამართავად, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამა მიზნად ისახავს ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის სტრატეგიული აზროვნების, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების და მენეჯმენტის დონეზე ეფექტური გადაწყვეტილებების განხორციელების უნარის განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს კარგად განათლებული მენეჯმენტის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია რეალური სამყაროს გამოწვევების გადაჭრა, ინოვაციების და პოზიტიური ცვლილებების მართვა ბიზნეს სექტორში. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ბიზნესის ადმინისტრირების და საზოგადოების განვითარებაში, გააძლიერებენ ინდუსტრიის გავლენას ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მისცეს სტუდენტებს საჯარო მმართველობის სხვადასხვა მოდელის და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების თავისებურებების ღრმა და სისტემური შესწავლის შესაძლებლობა, რაც მათ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში დაეხმარება.

საჯარო მმართველობის სფეროსთვის მოამზადოს მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრები, რომლებიც შეძლებენ რთულ და დინამიურად ცვალებად სოციალურ - ეკონომიკურ გარემოში ეფექტური მართვის სტრატეგიების განსაზღვრას, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით;

განუვითაროს სტუდენტს თანამედროვე მმართველობითი აზროვნება და ლიდერული უნარები, მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტაციის და ეფექტური მოქმედების / კომუნიკაციის უნარი, რათა მან როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდთან ერთად შეძლოს რთული პრობლემების გადალახვა.

განუვითაროს კვლევითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების კულტურა, პრობლემების დანახვის, ანალიზის და მათი გადაჭრის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი პროფესიული ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით.

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია სტრატეგიულად აღნიშნული სპეციფიკური სფეროს განსაკუთრებული გამოწვევების და ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების აღჭურვას ეფექტური მმართველობისთვის და ლიდერობისთვის საჭირო ცოდნით და უნარებით. პროგრამა ორიენტირებულია საჯარო მმართველობის სხვადასხვა მოდელის და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების სისტემურ შესწავლაზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების სირთულეების გასაგებად. პროგრამა ამზადებს სტუდენტებს როგორც მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებსაც შეუძლიათ დინამიურ სოციალურ - ეკონომიკურ გარემოში ეფექტური მართვის სტრატეგიების განვითარება, უზრუნველყოფს მათი გადაწყვეტილებების შესაბამისობას დემოკრატიულ პრინციპებთან და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან. პროგრამის მეშვეობით განვითარებული ძირითადი კომპეტენციები მოიცავს თანამედროვე მენეჯერულ აზროვნებას, ლიდერულ უნარებს და მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტაციის უნარს. სტუდენტები სწავლობენ ეფექტურ კომუნიკაციაში და თანამშრომლობაში ჩართვას, რაც მათ აძლევს რთული საკითხების გადაჭრის საშუალებას როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდის ფარგლებში. გარდა ამისა, პროგრამა

ხელს უწყობს კვლევის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების კულტურის განვითარებას, ასწავლის კურსდამთავრებულებს პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად პრობლემების გამოვლენას და ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებას. ზოგადად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საჯარო მმართველობის განვითარებაში ისეთი ლიდერების მომზადებით, რომლებიც გადაჭრიან საზოგადოებრივ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ კარგი მმართველობის კულტურის დამკვიდრებას, რაც სარგებელს მოუტანს როგორც შერჩეულ სასწავლო სფეროს, ისე - საზოგადოებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

"ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თვითმოტივირებული ლიდერები, რომლებიც მზად იქნებიან ცვალებად კონტექსტში წარმატებულად მართონ უმაღლესი განათლება და შეძლონ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება და თანამშრომლობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული და სრულად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას. უსდ-ს მისია ხაზს უსვამს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას, ეფექტური კვლევების განხორციელებას და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობას.

აღნიშნული პროგრამის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს მათ პიროვნულ განვითარებას და პროფესიული კარიერისთვის მომზადებას როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უნარების განვითარებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე და ლიდერობაზე ფოკუსირებით, პროგრამა მხარს უჭერს უსდ - ს მისწრაფებას, აღზარდოს სტუდენტები არა მხოლოდ როგორც ცოდნით აღჭურვილი ინდივიდები, არამედ როგორც მომავალი ლიდერები უმაღლესი განათლების სფეროში. საერთო ჯამში, პროგრამის მიზანი პირდაპირ შეესაბამება უსდ - ს მისიას, უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ისეთი განათლების მიღებას, რომელიც აკადემიურად მკაცრი და პიროვნულად გამამდიდრებელია და ამზადებს მათ მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად საზოგადოებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა სატრანსპორტო და ლოგისტიკურ სისტემებში ბიზნეს პროცესების სიტუაციების აღქმის, ანალიზის, შეფასების, გადაწყვეტილებების შემუშავების და მათი განხორციელების გზების შესახებ სატრანსპორტო კომპანიის საქმიანობის ეფექტური კონკურენტული მართვისთვის;

განუვითაროს პრაქტიკული უნარები სატრანსპორტო ბიზნეს სექტორში პრობლემების გამოვლენის და მათი გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისთვის, იმისათვის, რომ შეძლოს ლოგისტიკური მიდგომების და აკადემიური კეთილსინდისიერების გამოყენებით ინტეგრირებული ლოგისტიკური

მიწოდების ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მჭიდროდ შეესაბამება დაწესებულების მისიას იმით, რომ ორიენტირებულია მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებაზე, რომელიც ხელს უწყობს სატრანსპორტო და ლოგისტიკის სექტორში პიროვნულ განვითარებას და ინოვაციური პრობლემების გადაჭრას. სტუდენტების ინდუსტრიის გამოწვევების მდგრადი და ეფექტური გადაჭრისთვის აუცილებელი ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ, პროგრამა ასახავს უნივერსიტეტის ვალდებულებას სოციალური პასუხისმგებლობის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ამზადებს სტუდენტებს თავიანთ პროფესიულ სფეროებში და საზოგადოებაში პოზიტიური წვლილის შესატანად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესების სისტემატური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინტერდისციპლინური შემოქმედებითი, ინოვაციური კვლევების და განვითარების დაგეგმვა, განხორციელება და კრიტიკული აზროვნების უნარების გაღრმავება ახალი ცოდნის გენერირებისთვის და მისი შემდგომი გამოყენებისთვის;
- ეროვნულ ან საერთაშორისო ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით მულტიდისციპლინური ან ინტერდისციპლინური კვლევითი საქმიანობის პრაქტიკაში განხორციელების პიროვნული შესაძლებლობების რეალიზება;
- თანამედროვე მეთოდებით და ტექნოლოგიებით აკადემიური საქმიანობის წარმართვის თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარება.
- ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უნარის განვითარება.

ზოგადად, სასწავლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტურია და ასახავს სწავლის პროცესის დასრულებისას კურსდამთავრებულების მიერ მისაღწევ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის მკვლევრების მომზადებას, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ბიზნესის და მენეჯმენტის განვითარებაში. თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და უახლესი ტექნიკების გამოყენებით, პროგრამა მონაწილეებს ამზადებს მულტიდისციპლინური ან ინტერდისციპლინური საქმიანობის განხორციელების გზით ბიზნეს გარემოში არსებული კომპლექსური გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელად. დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული მიზნები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარეების ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადგილობრივი და საერთაშორისო თანამედროვე შრომის ბაზრის საჭიროებების და მენეჯმენტის და ადმინისტრირების სფეროში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია მიზანში აისახოს კურსდამთავრებულების უნარი მაღალ დონეზე განახორციელონ შემოქმედებითი და ინოვაციური კვლევა. შესაბამისად, პროგრამის მიზანი "ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ

თემატურ დისკუსიებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების უნარის განვითარება" შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ზედმეტად საბაზისო სადოქტორო პროგრამისთვის. სადოქტორო დონეზე კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ კვლევის მაღალ დონესთან უკეთ შესაბამისობისთვის, რეკომენდებულია აღნიშნული მიზნის ფორმულირების შეცვლა ისე, რომ ხაზი გაესვას სამეცნიერო ჩართულობის მაღალ დონეს და დარგში მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობაში წვლილის შეტანას. აღნიშნულმა ცვლილებამ უკეთ უნდა ასახოს ანალიზის სიღრმე, კრიტიკული აზროვნება და ორიგინალური კვლევა, რომელთა დემონსტრირებაც მოსალოდნელია დოქტორანტებისგან მათ აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o შეფასებულ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიში
- o სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- o სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდი
- o კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები
- o სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული გასაუბრებების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტის მისიასთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ხაზი გაესვას სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ხელახლა განისაზღვროს სასწავლო პროგრამის მიზანი იმისათვის, რომ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალური ორიენტაცია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ხელახლა განისაზღვროს სასწავლო პროგრამის მიზანი იმისათვის, რომ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალური ორიენტაცია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კონკრეტული მიზნის ფორმულირება იმისათვის, რომ ხაზი გაესვას დარგში სამეცნიერო ჩართულობის მაღალ დონეს და მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას.

რჩევები: არ არის წარმოდგენილი

შეფასება ²

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ზიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("ზიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 ("ზიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 ("ლი დე მე ნე ჯმ ე ნ ტი უ მ ა ღ ლ ს გ ა ნ ა თ ლ ბ ა შ ი " სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 ("სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7 ("ზიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს. სასწავლო ციკლის ბოლოს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარების, თვითმდგრადობის და პასუხისმგებლობის განსაზღვრა ემყარება ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციებს, ასევე უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 მუხლს, სადაც "უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღმწერი განსაზღვრავს შესაბამის დონეზე მისაღწევი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მოცულობას შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება
- ბ) ცოდნის გამოყენება
- გ) დასკვნების გაკეთება
- დ) კომუნიკაციის უნარი
- ე) სწავლის უნარი
- ვ) ღირებულებები.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია სასწავლო გეგმის რუკა, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან სწავლის შედეგების უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებს და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები მიიღებენ პროგრამის დასრულების შემდეგ. საგანმანათლებლო მიდგომა ხაზს უსვამს თანამედროვე მეცნიერებას და პრაქტიკულ გამოყენებას შორის მჭიდრო კავშირს, რაც ასახავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას. აღნიშნული ასევე ითვალისწინებს შიდა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ თავისუფალი და არჩევითი კურსები. სწავლის შედეგები ითვალისწინებს მოქმედ რეგულაციებს, შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს და რელევანტურია კურსდამთავრებულთათვის განკუთვნილი პროფესიული სფეროებისთვის. ისინი მიღწევადია და უზრუნველყოფს შემოწმების სისტემას სხვადასხვა დამატებითი შეფასების მეთოდების გამოყენებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) და აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

აღნიშნული ორი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იდენტურია, შესაბამისად ერთად არის წარმოდგენილი ანალიზი და აღწერა.

ზოგადად, აღნიშნული სასწავლო პროგრამებისთვის განსაზღვრულია ათი სწავლის შედეგი, რომლებიც შეესაბამება განათლების პრინციპებს და მიზნებს, ასევე ზოგად აკადემიურ ჩარჩოს, რომელიც თანხვედრაშია კონკრეტული სწავლის სფეროს კომპეტენციებთან, ასახავს ცოდნის თანამედროვე მდგომარეობას და შეესაბამება კურსდამთავრებულებისგან შრომის ბაზრის მოლოდინებს.

თუმცა, რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ ერთ კურსზე დაყრდნობით ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა – სწავლის მე-9 შედეგი "ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის და ბიზნეს ეთიკის ნორმების / პრინციპების მნიშვნელობის გაცნობიერება"). აღნიშნულის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა ასეთი შედეგების შენარჩუნება კონკრეტული კურსის კონტექსტში. ეს მიდგომა დაეხმარება იმის უზრუნველყოფას, რომ სწავლის შედეგები იყოს ყოვლისმომცველი და ზუსტად ასახავდეს პროგრამის უფრო ფართო მიზნებს, რაც იმავე დროს საშუალებას მისცემს თითოეულ კურსს შეინარჩუნოს თავისი განსხვავებული ორიენტაცია და მიზნები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგი "დაგეგმოს თავისი შემდგომი სწავლის საჭიროებების გამოვლენა და მიაღწიოს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს" შესაძლოა უფრო მეტად შეესაბამებოდეს პიროვნულ კომპეტენციებს, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ინდივიდებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს შედეგი შეიძლება არ იყოს უნივერსალურად მიღწევადი სასწავლო პროცესში თანდაყოლილი პიროვნული მახასიათებლების გამო.

შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს აღნიშნული შედეგი იმისათვის, რომ აისახოს კურსდამთავრებულის მზაობა გააგრძელოს სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე. აღნიშნული მოდიფიცირება უზრუნველყოფდა შედეგის უკეთ შესაბამისობას პროგრამის აკადემიურ მიზნებთან, ამავდროულად აღიარებდა პიროვნული განვითარების და მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი სწავლის მიმდინარე პროცესს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კვალიფიკაციების მე-7 დონის აღწერილობის და მენეჯმენტისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენს თეორიის და პრაქტიკის ძლიერ კომბინაციას და ეფექტურად არის გათვალისწინებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს როგორც ფუნდამენტური ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები, რომლებიც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წარმატების მისაღწევად. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ასევე აღინიშნა, რომ განხორციელდა პროგრამების შედარება საქართველოს და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ მსგავს პროგრამებთან.

აღნიშნული მიზნები რეალისტურია და ხელს უწყობს პროგრესის შემოწმების გზის განსაზღვრას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს სტუდენტების შეფასების სხვადასხვა და მხარდამჭერ მეთოდებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის კვალიფიკაციების აღწერილობების და საჯარო ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს თეორიის და პრაქტიკის სათანადოდ გათვალისწინებას მთელი სასწავლო გეგმის მასშტაბით, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს როგორც აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნით, ასევე პრაქტიკული უნარებით, რომლებიც საჭიროა შერჩეულ სწავლის სფეროში წარმატების მისაღწევად. ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა თანამშრომლობითი გზით, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე დამსაქმებლების ჩართულობით. გარდა ამისა, განხორციელდა საქართველოსა და საერთაშორისო დონის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ მსგავს პროგრამებთან შედარება. აღნიშნული მიზნები რეალისტურია და ქმნის პროგრესის მონიტორინგის ჩარჩოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა მხარდამჭერ მეთოდებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის კვალიფიკაციების აღწერილობებს და ნათლად არის განსაზღვრული, რომ პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებს მისცეს საჭირო ცოდნა და უნარები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. კურსდამთავრებულები შეისწავლიან სხვადასხვა სტრატეგიებს და მიდგომებს საგანმანათლებლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ინოვაციების ხელშესაწყობად და განათლების სექტორში სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად.

აღნიშნული პროგრამის ერთ - ერთი განსაზღვრული შედეგია ის, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ კრიტიკულად შეაფასონ უმაღლესი განათლების არსებული მდგომარეობა და გამოავლინონ გაუმჯობესების შესაძლებლობები. ისინი მომზადებული იქნებიან წვლილი შეიტანონ საგანმანათლებლო სისტემების მართვაში და ადმინისტრირებაში. ძლიერი ლიდერული შესაძლებლობების განვითარებით და ორგანიზაციული დინამიკის ღრმა გააზრებით კურსდამთავრებულები შეძლებენ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და განხორციელონ ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს აკადემიურ სრულყოფილებას და ინსტიტუციურ ეფექტურობას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები საკმაოდ ბევრია - თორმეტი. ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგები მაქსიმუმ ათამდე, რათა უკეთ გამოიკვეთოს სასწავლო პროგრამის ორიენტაცია. დამატებითი სწავლის შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იყოს ცალკეული კურსების სილაბუსებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურად ასახავს საინჟინრო და ბიზნეს სფეროების კავშირს, რაც მიღწეულია დარგის დამსაქმებლებთან მჭიდრო

თანამშრომლობით. აღნიშნული სისტემატური მიდგომა ხაზს უსვამს თეორიის და პრაქტიკის ძლიერ ინტეგრაციას სასწავლო გეგმის მასშტაბით, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს როგორც აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნით, ასევე პრაქტიკული უნარებით, რომლებიც გადაწყვეტა მათ მიერ არჩეულ სფეროში წარმატების მისაღწევად.

აღნიშნული შედეგები ჩამოყალიბებულია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის კვალიფიკაციების აღწერილობების და საჯარო მმართველობის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე დამსაქმებლების მნიშვნელოვან წვლილს. გარდა ამისა, განხორციელდა პროგრამის შედარება საქართველოს და საერთაშორისო წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ მსგავს პროგრამებთან. დასახული მიზნები რეალისტურია და უზრუნველყოფს სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგის ჩარჩოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა მხარდამჭერ მეთოდებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონეს. ისინი ეფექტურად აღწერენ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებს და ავტონომიურობას, რომელთა მიღწევაც მოსალოდნელია სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ. საგანმანათლებლო მიდგომა ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის. აღნიშნული შედეგები ჰარმონიულად ერწყმის ზოგად საგანმანათლებლო ჩარჩოს და აკადემიურ პროფილს. გარდა ამისა, ცალკეული კურსების და კურსების ჯგუფების სწავლის შედეგები პირდაპირ უკავშირდება სწავლის სფეროს მოსალოდნელ შედეგებს. ისინი ასახავენ ცოდნის თანამედროვე მდგომარეობას და შესაბამისია კურსდამთავრებულებისთვის განსაზღვრული პროფესიული სფეროებისთვის. დამატებით, აღნიშნული შედეგები შემუშავდა აკადემიურ პერსონალთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69 / ნ ბრძანება
- "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ"
- ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო
- თვითშეფასების ანგარიში

- შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები
- გამოკითხვის შედეგები
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო კურსის საფუძველზე.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების გადახედვა იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის აკადემიურ მიზნებს.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო კურსის საფუძველზე.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის აკადემიურ მიზნებს.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაციის მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა 8 - დან 10 - მდე.

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო	X	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამა 5 ("ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 ("სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 7 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მიერ, რომელთაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაუწია კონსულტაცია უკუკავშირის და რჩევების მისაღებად. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალისთვის უზრუნველყოფს ტრენინგებს და სრულ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შეფასების და ანალიზის უნარების განვითარებაში. პროგრამის შეფასება მოიცავს შეგროვებული მონაცემების საფუძველზე პროგრამის განხორციელების ანალიზს, დადგენილი კრიტერიუმების და ნიშნულების მიხედვით მის შეფასებას და სხვადასხვა სფეროების, მათ შორის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების გაცემას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მხარდაჭერას სასურველი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების

საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და განსაზღვრავს პროგრამაში განსახორციელებელ საჭირო ცვლილებებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებში და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, შემუშავებულია მონიტორინგის და შეფასების გეგმა. აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს, თუ როდის, რა მეთოდით და რომელ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება. გეგმა მოიცავს კვლევის მეთოდებს, სამიზნე ნიშნულებს, მონაცემთა შეგროვების პერიოდებს, მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირებს და მონაცემთა წყაროებს. გეგმის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა". თუმცა, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჭიროებს გაუმჯობესებას იმისათვის, რომ ნათლად წარმოადგინოს დაგეგმე - განხორციელე - შეამოწმე - იმოქმედე სქემის დახურული ციკლი, ყველა ჩართული მხარისთვის იყოს გამჭვირვალე და ნათელი, რათა სისტემატურად გადაიხედოს შედეგები, მოხდეს მათი მონიტორინგი და ჩამოყალიბდეს ნათელი წარმოდგენა საჭირო ცვლილებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- თვითშეფასების ანგარიში.
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული გასაუბრებების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ("ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 ("სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 7 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
-

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მომზადებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" შესაბამისად (აწსუ - ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18), 2021 წლის 15 ივლისის №39 (20/21), 2022 წლის 16 სექტემბრის №8 (22/23) დადგენილებები) და შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მისი შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე მორგებულია შესაბამის განათლების საფეხურს (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) და შესაბამის საგანმანათლებლო ციკლს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ცხადია, რომ ყველა შერჩეული პროგრამა შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS). სასწავლო პროგრამების დიზაინი ხაზს უსვამს მათ უნიკალურობას. გარდა ამისა, თითოეული შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ზოგადად, შეფასებული პროგრამების სტრუქტურა ნათელი, ლოგიკური და თანმიმდევრულია.

შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ სასურველ სწავლის შედეგებს, მოამზადოს საჭირო ცოდნის, კვლევის შესაძლებლობების, პიროვნული უნარების და სოციალური კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, იმისათვის, რომ დაიწყონ თავიანთი კარიერა არჩეულ სფეროებში. კურსები დალაგებულია დედუქციური მსჯელობის საფუძველზე, დაწყებული საბაზისო კომპეტენციების და უნარების ჩამოყალიბებისთვის საჭირო ზოგადი კურსებით და შემდგომ სპეციალიზებული კურსებით. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შემუშავებულია უახლესი კვლევითი მიგნებების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით. კონკრეტული სწავლის სფეროს და პროგრამის დონის მიხედვით, სასწავლო გეგმა მოიცავს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თემებს. აღნიშნული პროგრამების განვითარება არის თანამშრომლობითი ძალისხმევა, რომელშიც ჩართულია შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეების ფართო სპექტრი, მათ შორის აკადემიური და კვლევითი პერსონალი და ასევე გათვალისწინებულია დამსაქმებელთა რჩევები.

გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ინფორმაციას პროგრამების შესახებ, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დეტალური აღწერილობების ნახვა შესაძლებელია პროგრამების კატალოგში: <https://cdn.atu.edu.ge/files/docs2022/catalog-2021-2022.pdf>.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 180 კრედიტიანია (145 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის, 25 კრედიტი არჩევითი და 10 კრედიტი თავისუფალი კურსებისთვის) და გრძელდება 3 წელი ან 6 სემესტრი. აღნიშნული ახალი პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დამსაქმებლების მოსაზრებების და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მსგავსი პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით. პროგრამას გააჩნია კარგად დაბალანსებული და ლოგიკური სტრუქტურა, ძლიერი პრაქტიკული ორიენტაცია და მოიცავს ციფრულ კომპონენტს, რომელიც ინტეგრირებულია კურსების უმრავლესობაში, ასევე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტს - ბიზნეს ეთიკის და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კურსს. პროგრამა მოიცავს ციფრულ კომპონენტებს, რომლებიც დამსაქმებლების რჩევის შესაბამისად ინტეგრირებულია კურსების უმრავლესობაში და ორიენტირებულია პრაქტიკულ ასპექტებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან (145 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის, 25 - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 10 - არჩევითი კურსებისთვის და 60 - დამატებითი (minor) პროგრამისთვის) და გრძელდება 4 წელი ან 8 სემესტრი. პროგრამა კარგად არის შემუშავებული ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და გამოირჩევა ლოგიკური სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შეუფერხებელ პროგრესს ზოგადი ცოდნიდან უფრო სპეციფიკურ ცოდნაზე და უნარებზე. გარდა ამისა, დამატებითი (minor) კომპონენტის ჩართვა წარმოადგენს ღირებულ გაუმჯობესებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან (105 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის და 15 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის) და გრძელდება 2 წელი ან 4 სემესტრი. პროგრამა შემუშავებულია თანამედროვე ბიზნეს სფეროში არსებულ მიმდინარე მოთხოვნებთან სტრატეგიული შესაბამისობის გათვალისწინებით და შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის რელევანტურობას და ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებას. პროგრამის ორიენტაცია ლიდერობასა და მენეჯმენტზე, მიზნად ისახავს გამოუმუშავოს სტუდენტებს

სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციებზე საჭირო უნარები. ის ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს (მარკეტინგის მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა და საინვესტიციო მენეჯმენტი), რაც კურსდამთავრებულებს ამზადებს ბიზნეს კონტექსტში ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების სირთულეების გასაგებად და სამართავად. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით კურსს კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით პრინციპებთან, ასევე ციფრულ ტრანსფორმაციასთან (არჩევითი კურსი - ციფრული ბიზნეს ინფრასტრუქტურა). აღნიშნული არჩევითი კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაამდიდრონ თავიანთი სწავლება და გაუმკლავდნენ სხვადასხვა გამოწვევებს, რომლებსაც დღევანდელი ბიზნესები აწყდებიან.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნება პროგრამებში მდგრადობის კომპონენტის გათვალისწინება, რომელიც ორიენტირებული იქნება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სხვადასხვა განზომილებებზე და არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური განზომილებით (არჩევითი კურსი კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების შესახებ).

მთლიანობაში, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ძლიერ მენეჯერებს, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნის და უნარების ფართო სპექტრი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან (92 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროსთვის, 9 - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, 15 - თავისუფალი სავალდებულო კომპონენტისთვის და 4 - თავისუფალი არჩევითი კომპონენტისთვის) და გრძელდება 2 წელი ან 4 სემესტრი. პროგრამას გააჩნია კარგად დაბალანსებული და ლოგიკური სტრუქტურა, ძლიერი პრაქტიკული ორიენტაცია და მოიცავს ციფრულ კომპონენტს, რომელიც გათვალისწინებულია კურსების უმრავლესობაში და შეესაბამება საჯარო სექტორში მაღალკვალიფიციურ მენეჯერებზე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა ასევე ავითარებს მნიშვნელოვან მოქნილ უნარებს ისეთი კურსების მეშვეობით, როგორიცაა რისკების მართვა და ანტიკრიზისული მართვა, რაც სტუდენტებს ამზადებს იმისათვის, რომ მედგრად და ადაპტირებულად შეეჭიდონ კომპლექსურ გამოწვევებს. გარდა ამისა, ის მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით კომპონენტს მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი მმართველობისა და კლიმატის ცვლილების მართვის კურსების მეშვეობით. აღნიშნული ელემენტები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები იძენენ არა მხოლოდ ტექნიკურ ცოდნას, არამედ შეაქვთ წვლილი საჯარო მმართველობის სფეროში მდგრადი დადებითი ცვლილებების განხორციელებაში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნება პროგრამებში მდგრადობის კომპონენტის ჩართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებებზე ფოკუსირებას და არა მხოლოდ ერთ განზომილებაზე, როგორც არის „გარემო“ (E) ამ კონკრეტული სასწავლო პროგრამის შემთხვევაში. სხვა ESG განზომილებების ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებით გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების გათვალისწინებით, პროგრამას შეუძლია უკეთ მოამზადოს სტუდენტები თავიანთი გადაწყვეტილებების უფრო ფართო შედეგების გასაგებად და მათთან სამუშაოდ, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების და ზოგადად საზოგადოების მდგრად მომავალს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

"ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან (54 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 24 - არჩევითი კურსებისთვის, 6 - თავისუფალი კომპონენტისთვის, 6 - პრაქტიკისთვის და 30 - სამაგისტრო ნაშრომისთვის) და გრძელდება 2 წელი ან 4 სემესტრი. პროგრამა გულდასმით არის შემუშავებული და მისი შინაარსი და სტრუქტურა ასახავს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროგრამა შემუშავდა შრომის ბაზრის საჭიროებებზე პირდაპირი რეაგირებით, აკადემიური საზოგადოების ღირებული მოსაზრებების გათვალისწინებით.

მისი კარგად განვითარებული და ლოგიკური სტრუქტურა სტუდენტებს მიმართავს ფართო საბაზისო კონცეფციებიდან, როგორიცაა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სტრატეგიები და ზოგადი და უმაღლესი განათლების ფსიქოლოგია, უფრო სპეციალიზებულ სფეროებისკენ, როგორიცაა მენეჯმენტი და სტრატეგიული დაგეგმვა, ლიდერობა უმაღლეს განათლებაში და ა.შ., რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს თვითმოტივირებული ლიდერები, რომელთა მიზანს წარმოადგენს წარმატებულად შეიტანონ წვლილი უმაღლესი განათლების სფეროში. უფრო მეტიც, ისეთი კურსების გათვალისწინება, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში და განათლების ფინანსური მენეჯმენტი, კიდევ უფრო აძლიერებს სასწავლო გეგმას უმაღლესი განათლების სფეროში წარმატების მისაღწევად აუცილებელი პრაქტიკული უნარების და ცოდნის მიწოდებით. საერთო ჯამში, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ლიდერები, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს. ასევე, ის ფაქტი, რომ პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, სტუდენტებს აძლევს ფართო შესაძლებლობას ჩაერთონ გლობალურ საგანმანათლებლო გარემოში და აძლიერებს სწავლის გამოცდილებას და კარიერულ პერსპექტივებს.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნება პროგრამებში მდგრადობის კომპონენტის ჩართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებებზე. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების გათვალისწინებით, პროგრამას შეუძლია უკეთ მოამზადოს სტუდენტები თავიანთი გადაწყვეტილებების უფრო ფართო შედეგების გასაგებად და მათთან სამუშაოდ, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების და ზოგადად საზოგადოების მდგრად მომავალს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან (110 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის და 10 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის) და გრძელდება 2 წელი ან 4 სემესტრი. აღნიშნული ახალი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მისი შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე მორგებულია მაგისტრატურის დონეს და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამის დიზაინი წარმოადგენს ბიზნეს გარემოს და საინჟინრო პრინციპების

ჰარმონიულ კავშირს. აღსანიშნავია, რომ ყველა პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო კოლეგებთან მჭიდრო პარტნიორობით, ინდუსტრიის პროფესიონალების მნიშვნელოვანი მოსაზრებების გათვალისწინებით. შესაბამისად, პროგრამა პასუხობს შრომის ბაზრის საჭიროებებს და კონკურენტუნარიანობის და რელევანტურობის უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს შედარების პრინციპს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული თეორიის და პრაქტიკული გამოყენების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, რაც აღინიშნა სტუდენტებთან და დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს. ისეთი კურსები, როგორიცაა "მარაგების და საწყობების ლოგისტიკა" და "საბაჟო და საგადასახადო მექანიზმები ლოგისტიკაში", პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკულ გამოცდილებას და რეალურ მაგალითებს, რაც ხელს უწყობს თეორიული კონცეფციებიდან პრაქტიკულ განხორციელებაზე ბუნებრივ გადასვლას. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს ჩართულობას, არამედ ღირებულებას მატებს აუცილებელი ანალიტიკური უნარების განვითარებას, რაც ასახავს სტუდენტების რეალური გამოწვევებისთვის მომზადების ვალდებულებას.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს პროგრამაში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტის არსებობას, თუმცა მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სხვადასხვა განზომილებების ინტეგრირება და ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ გარემოსდაცვით კომპონენტზე (სასწავლო კურსი "ეკოლოგიური პროცესების მართვა სატრანსპორტო - ლოგისტიკურ სისტემაში"), არამედ აქცენტის გაკეთება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი ტრანსპორტი, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და მწვანე ლოგისტიკა. აღნიშნული ინტეგრაცია გააძლიერებს დღევანდელ ბაზარზე რელევანტურობას, უპასუხებს გარემოსდაცვით პრობლემებს და მიმზიდველი იქნება მზარდი აუდიტორიისთვის, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მდგრადობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 55 კრედიტისგან და გრძელდება 3 წელი ან 6 სემესტრი. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. მისი შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება დოქტორანტურის დონის სტანდარტებსა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონეს. უნივერსიტეტის დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ითვალისწინებს ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპებს. საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია მისი უნიკალური მახასიათებლების წარმოსაჩენად. გარდა ამისა, შინაარსი და სტრუქტურა ჰარმონიულად ერწყმის მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს სასურველი სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. აღნიშნული სწავლის შედეგები კარგად არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. პროგრამის სტრუქტურა არის ნათელი, ლოგიკური და თანმიმდევრული, მოიცავს სწავლების და კვლევის კომპონენტებს, რომლებიც სისტემატურადაა ორგანიზებული თანმიმდევრული სასწავლო გამოცდილების ხელშესაწყობად. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს უახლესი კვლევების მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, რომლებიც ეხება ინტერნაციონალიზაციის ძირითად ასპექტებს, რაც შეესაბამება აღნიშნული დონის კონკრეტულ სწავლის სფეროს. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს აკადემიური წერის სავალდებულო კურსი. აღნიშნული ინიციატივა კანდიდატებს მისცემს აუცილებელ უნარებს თავიანთი კვლევის შედეგების ეფექტურად გადმოსაცემად და სამეცნიერო საქმიანობაში წვლილის შესატანად. აკადემიური წერის მიმართ სტრუქტურული მიდგომა გააუმჯობესებს კრიტიკულ აზროვნებას, ეთიკურ კვლევით პრაქტიკას და საერთო წერის ხარისხს. გარდა ამისა, სტუდენტების აღჭურვა ასეთი უნარებით უკეთ მოამზადებს მათ სამომავლო გამოქვეყნების შესაძლებლობებისთვის და მრავალფეროვანი კარიერული გზებისთვის. აღნიშნული კურსის დანერგვით, დაწესებულებები ხელს შეუწყობენ კარგად მომზადებული სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომლებსაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თავიანთ სფეროებში.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში არსებობს არჩევითი კურსების ფართო სპექტრი; თუმცა, პროგრამებში განსხვავებულია არჩევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება 10 კრედიტიდან ("სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამა) 24 კრედიტამდე ("ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო პროგრამა). ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ასეთმა განსხვავებამ შეიძლება გამოიწვიოს უთანასწორობა სტუდენტთა გამოცდილებაში და სწავლის შედეგებში, განსაკუთრებით აუცილებელი ინტერდისციპლინური რბილი უნარების და ცოდნის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, უფრო თანასწორი აკადემიური გარემოს ხელშეწყობის და თანამშრომლობითი სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია ყველა პროგრამაში განხორციელდეს არჩევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო რაოდენობის სტანდარტიზაცია. არჩევითი კურსებისთვის ერთიანი საკრედიტო სისტემის დადგენით ყველა სტუდენტს ექნება თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს ინტერდისციპლინურ კურსებში, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი საგნების უფრო ფართო გაგებას და ღირებული მოქნილი უნარების განვითარებას. აღნიშნული კორექტირება სარგებელო იქნება ინდივიდუალური სტუდენტებისთვის მიიღონ უფრო დაბალანსებული საგანმანათლებლო გამოცდილება და გააძლიერებს შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების საერთო აკადემიურ კეთილსინდისიერებას და კონკურენტუნარიანობას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნება პროგრამებში მდგრადობის კომპონენტის გათვალისწინება, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სხვადასხვა განზომილებებზე ორიენტაციით ("ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) და ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ გარემოსდაცვით ან სოციალურ კომპონენტზე ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - კლიმატის მართვა და მდგრადი განვითარება და გარემოსდაცვითი მმართველობა), ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგება).

გარდა ამისა, სხვადასხვა ინდუსტრიაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი არსებობის გათვალისწინებით, სასურველია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმებში წარმატებით იყოს ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტი. აღნიშნული ინტეგრაცია შეიძლება დაეხმაროს სტუდენტებს შეისწავლონ დღევანდელ დასქმების ბაზარზე მოთხოვნადი მნიშვნელოვანი უნარები. აღნიშნული კურსები სტუდენტებს შეასწავლიან, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგია პრობლემების გადასაჭრელად, მონაცემების გასაგებად და გადაწყვეტილების მიღების პროცესის

გასაუმჯობესებლად. ვინაიდან ბიზნესები და ინდუსტრიები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან ხელოვნურ ინტელექტს, ამ მიმართულებით ცოდნის ფლობა გააუმჯობესებს კურსდამთავრებულთა კარიერულ შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69 / ნ ბრძანება
- "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ"
- ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო
- თვითშეფასების ანგარიში
- შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს სასწავლო გეგმაში ხელოვნური ინტელექტის წარმატებული ინტეგრაციის შესაძლებლობა.
- სასურველია, ყველა პროგრამაში განხორციელდეს არჩევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო რაოდენობის სტანდარტიზაცია.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამებში მდგრადი განვითარების კომპონენტის ჩართვა, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სხვადასხვა განზომილებაზე ორიენტაციით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაში შემუშავდეს აკადემიური წერის სავალდებულო კურსი.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------------------------------	---------------------------------	--	---	---

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი				
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ("ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 ("სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 7 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების განაწილება მიზნად ისახავს თითოეული კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას. გარდა ამისა, ძირითადი სწავლის სფეროს კურსების მასალა და სასწავლო მიზნები თანხვედრაშია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას. ეს შინაარსობრივი და კარგად დაგეგმილი ინტეგრაცია ხელს უწყობს არამხოლოდ სტუდენტების ცოდნის გაღრმავებას, არამედ მნიშვნელოვნად ამდიდრებს მათ საგანმანათლებლო გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქეისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ასევე რეკომენდებულია, სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება, თუ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში მითითებული ბმულები შეამოწმდება,

რათა დადგინდეს, რომ ისინი მოქმედ რესურსს მიემართება. ქვემოთ წარმოდგენილია შერჩეული მაგალითი:

კურსის „ციფრული მარკეტინგი“ – სილაბუსში დამატებით ინტერნეტ რესურსად მითითებული წყარო მიუწვდომელია, აღინიშნება „გვერდის შეცდომა“ .

- E- Marketing, The Essential Guide to Marketing in a Digital World. (5th Edition). By Rob Stokes and the Minds of Quirk.- 2019, p.588
https://www.redandyellow.co.za/content/uploads/woocommerce_uploads/2017/10/emarketing_textbook_download.pdf

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქეისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ასევე რეკომენდებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება, თუ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში მითითებული ბმულები შეამოწმდება, რათა დადგინდეს, რომ ისინი მოქმედ რესურსს მიემართება. ქვემოთ წარმოდგენილია შერჩეული მაგალითი:

კურსის „ციფრული მარკეტინგი“ – სილაბუსში დამატებით ინტერნეტ რესურსად მითითებული წყარო მიუწვდომელია, აღინიშნება „გვერდის შეცდომა“ .

- E- Marketing, The Essential Guide to Marketing in a Digital World. (5th Edition). By Rob Stokes and the Minds of Quirk.- 2019, p.588
https://www.redandyellow.co.za/content/uploads/woocommerce_uploads/2017/10/emarketing_textbook_download.pdf

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქვისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ასევე რეკომენდებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება, თუ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში მითითებული ბმულები შეამოწმდება, რათა დადგინდეს, რომ ისინი მოქმედ რესურსს მიემართება. ქვემოთ წარმოდგენილია შერჩეული მაგალითი:

კურსში „მეწარმეობა და ინოვაციური ტექნოლოგიები“ – რესურსი, რომელიც სილაბუსში მითითებულია, როგორც სავალდებულო, არ იძებნება:

- Eric Livni, Tamta Maridashvili - business cases, let's learn from the experience of Kartveli entrepreneurs, Tbilisi, Aiset, 2022
<https://www2.deloitte.com/ge/ka/pages/technology/topics/enterprise-technology-and-performance.html>

რესურსი, რომელიც სილაბუსში მითითებულია, როგორც დამატებითი, წაშლილია, დაარქივებული ან აღარ არსებობს.

- Promotion of business development and digitization in Georgia, OECD, chap. 2022 2022
<https://www.oecd.org/eurasia/competitivenessprogramme/Fostering%20Business%20Development%20and%20Digitalisation%20in%20Georgia%20with%20cover.pdf>

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქეისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გადახედვა ყველა კურსთან მიმართებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესურსები რელევანტურია, თანამედროვე და შეესაბამება აკადემიურ სტანდარტებს. ეს ხელს შეუწყობს აკადემიური საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებას და სტუდენტებს მიაწვდის მათი სწავლისათვის ყველაზე მეტად შესაბამის მასალებს.

ასევე რეკომენდებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. აღნიშნულის მაგალითებია:

კურსში „ციფრული დემოკრატია ინფორმაციულ საზოგადოებაში“ - დამატებითი რესურსები ძირითადად საკანონმდებლო დოკუმენტებია.

კურსში „ლიდერობა და ცვლილებების მართვა“ - მითითებულია რესურსები, რომელიც, კურსის სახელწოდებისა და ბუნების გათვალისწინებით, უნდა ჩანაცვლდეს უფრო თანამედროვეთი.

დამატებითი ლიტერატურა:

- Luthans, F. (2002). Organizational Behavior. McGraw_Hill (New York).
- <https://bdpad.files.wordpress.com/2015/05/fred-luthans-organizational-behavior--an-evidence-based-approach-twelfth-edition-mcgraw-hill-irwin-2010.pdf>
- Houges, R., Ginnett, R., Curphy, G. J. (2006). Leadership (Fifth Edition). McGraw Hill publishing company (New Delhi). <https://www.academia.edu/30063557/Leadership-textbook>
-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“ ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ (ინგლისურენოვანი)

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქეისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გადახედვა ყველა კურსთან მიმართებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესურსები რელევანტურია, თანამედროვე და შეესაბამება აკადემიურ სტანდარტებს. ეს ხელს შეუწყობს აკადემიური საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებას და სტუდენტებს მიაწვდის მათი სწავლისათვის ყველაზე მეტად შესაბამის მასალებს.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სტრატეგიები - კურსის რეკომენდებული ლიტერატურა 12 წელზე უფრო ძველია და ამ სფეროში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, უნდა მიეთითოს უფრო ახალი მასალები.

ძირითადი ლიტერატურა:

- Georgios P. Piperopoulos. Fundamentals of communication, P.R. and leadership. 1st edition. 2013
- Effective Communication Skills. 2012 MTD Training
- Advanced Communication Skills. 2012 MTD Training

Additional literature 1. David Mc Kean. IT Strategy & Technology Innovation. 2012

კურსზე „განათლების პოლიტიკა და მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა“ - სილაბუსში სავალდებულოდ მითითებული რესურსი არ მოიძებნა.

- Measuring Up 2008: The National Report Card on Higher Education, by the National Center for Public Policy and Higher Education, 2008, San Jose, CA: Author. Available: <http://measuringup2008.highereducation.org/print/NCPPEMUNationalRpt.pdf>

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში თითოეული კურსი შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურზე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქვისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

რეკომენდებულია დამატებითი ლიტერატურის ნაწილში მოცემული ლინკის შემოწმება, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ის ეხება არსებულ რესურსს. მაგალითები მოყვანილია ქვემოთ: აღნიშნულის მაგალითებია:

Course “Research methods in business” – additional resource listed below – were not found

- Malhotra, Naresh K., ed. Review of Marketing Research, Volume 3. Armonk, NY, USA: M.E. Sharpe, Inc., 2007. ProQuest ebrary. Web. 3 December 2015. Copyright © 2007. M.E. Sharpe, Inc.. All rights reserved. http://www.ruthnbolton.com/Publications/BoltonTarasiManagingCusRelReview_of_Marketing_Research_Volume_3.pdf
- ლ.წულაძე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სოციალური მეცნიერებების ცენტრი, 2008
(http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე გარე შემფასებლის დასკვნა შეიცავს რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც მოიცავს კურსის „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ მითითებას, როგორც პრობლემატური საკითხისა. ექსპერტის აზრით, ეს კურსი უნდა ჩანაცვლდეს კურსით „ლოგისტიკის კვლევის მეთოდები“ ანდა დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა და სასწავლო თემები, რათა მეტად ფოკუსირდეს ლოგისტიკაზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეთანხმება არ რეკომენდაციას. ინტერვიუს დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ შესაძლებელი იქნება კურსში ერთი სალექციო კვირის დათმობა მაინც ლოგისტიკის კვლევის მეთოდებზე მეტი ფოკუსისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 – „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამა

პროგრამაში თითოეული კურსი შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა დამატებით დეტალიზებულია კურიკულუმის რუკაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც ცალკე დოკუმენტი თითოეული პროგრამისთვის. თითოეული კურსის შინაარსი ეფექტურად არის დაკავშირებული მის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს ამ შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის კრიტერიუმებთან.

კურსებისთვის კრედიტების განაწილება, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო საკონტაქტო საათებს, ისე დამოუკიდებელ სწავლებას, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია კარგად არის მორგებული თითოეული კურსის საჭიროებებზე. პირდაპირი სწავლების დროის დონე, სწავლების გამოყენებულ მეთოდებთან ერთად — როგორიცაა ლექციები, სემინარები, ქეისების ანალიზი, გუნდური მუშაობა, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და დებატები — ეფექტურად შეესაბამება კურსის მასალასა და მის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შესული ყველა კურსის სილაბუსი შეიცავს კრედიტების რაოდენობას, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სასწავლო თემატიკის შინაარსსა და/ან კლასების, სემინარებისა და პრაქტიკული აქტივობების განაწილებას, ასევე სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გადახედვა ყველა კურსთან მიმართებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესურსები რელევანტურია, თანამედროვე და შეესაბამება აკადემიურ სტანდარტებს. ეს ხელს შეუწყობს

აკადემიური საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებას და სტუდენტებს მიაწვდის მათი სწავლისათვის ყველაზე მეტად შესაბამის მასალებს.

ასევე რეკომენდებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება, თუკი სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში მითითებული ბმულები შეამოწმდება, რათა დადგინდეს, რომ ისინი მოქმედ რესურსს მიემართება. აღნიშნულის მაგალითებია:

კურსი „მდგრადობის რეპორტიზი ბიზნეს სტრატეგიაში“

დამატებითი ლიტერატურა:

1. ხოფერია, ლ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო. 2012
2. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" 2016 კონსოლიდირებული 28.06.2023, ხელმისაწვდომი ლინკზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=15>
3. საქართველოს კანონი "მეწარმეობის შესახებ" 2021. კონსოლიდირებული 30.11.2023. ხელმისაწვდომი ლინკზე : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=63>

კურსში „ფინანსური სტაბილურობა და მდგრადი დაფინანსება“

სავალდებულო ლიტერატურა:

1. nbg.gov.ge/pape/financial-stability
2. nbg.gov.ge/pape/sustainable-financing
3. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია საქართველოსათვის - საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022.

დამატებითი ლიტერატურა:

რესურსი სახელად “ფინანსური უსაფრთხოების მიღწევის რჩევები”
<https://www.investopedia.com/articles/retirement/06/10secureretirementtips.asp>

მიუთითებს ინვესტორების სტატიას, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად. ზოგადად სასურველია ყურადღების გამახვილება მეტად სამეცნიერო წყაროებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მასალების აკადემიური სიმკაცრე და სანდოობა.

კურსში: „თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდები ბიზნესში“ მითითებულია სახელმძღვანელო BRYMAN, A. Social Research Methods. New York: Oxford University Press, 2012, რომელიც 12 წელზე მეტი ხნის წინ არის გამოცემული და სფეროში მომხდარი სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია მისი ჩანაცვლება ახალი რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია Oxford University Press-ის ვებგვერდზე.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული აკადემიური კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები ზუსტად ასახავს

კურსდამთავრებულებისათვის გათვლილ ფუნდამენტურ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა საერთო ჯამში წარმოაჩენს სტუდენტების საგანმანათლებლო წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გადახედვა ყველა კურსთან მიმართებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ რესურსები რელევანტურია, თანამედროვე და შესაბამის აკადემიურ სტანდარტებს. ეს ხელს შეუწყობს აკადემიური საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებას და სტუდენტებს მიაწვდის მათი სწავლისათვის ყველაზე მეტად შესაბამის მასალებს. ასევე რეკომენდებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა იყოს ფართო და მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებსა და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებსაც. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა გაამდიდრებს აკადემიურ გამოცდილებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სასწავლო მასალის უფრო მრავალმხრივი გაგება. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება, თუ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში მითითებული ბმულები შეამოწმდება, რათა დადგინდეს, რომ ისინი მოქმედ რესურსს მიემართება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოქტორანტურის დებულება
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის წესი და შეფასების რეგულაცია
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსები;
- პროსპექტუსისა და კოლოკვიუმის შესრულების სახელმძღვანელო სადოქტორო პროგრამაზე
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის რუკები
- პროგრამის სწავლის შედეგების სადოქტორო პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა
- აწესს ვებსაიტი www.atsu.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში.
- ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა, რომელიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებს და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებს.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა.
- რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსების ლიტერატურის ნაწილში მითითებული ბმულები იმისათვის, რომ მითითებული იყოს არსებული რესურსები.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2. „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 – „საჯარო ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ (ინგლისურენოვანი)

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 6 – „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები ბიზნესში" შეიცვალოს კურსით "კვლევის მეთოდები ლოგისტიკაში" ან კურსში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი ლიტერატურის და ლოგისტიკის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული თემები.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 7 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა

საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ ყველა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება პროგრამების სპეციფიკურ მახასიათებლებს. თითოეული პროგრამა უზრუნველყოფს, რომ აპლიკანტებს ჰქონდეთ განათლების შესაბამისი დონე (ბაკალავრის ხარისხი - სამაგისტრო პროგრამებისთვის და მაგისტრის ხარისხი - სადოქტორო პროგრამებისთვის) და შესაბამისი აკადემიური გამოცდილება (მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირება, მენეჯმენტი ან ეკონომიკა). დამატებითი მოთხოვნები, როგორიცაა საუნივერსიტეტო გამოცდები და უცხო ენის კომპეტენციის დადასტურება, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო კომპეტენციები თავიანთი პროგრამების წარმატებით დასრულებისთვის.

დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ საკანონმდებლო ჩარჩოს. უნივერსიტეტი ემორჩილება ეროვნულ რეგულაციებს შიდა და გარე მობილობასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია მინისტრის ბრძანება №10/ნ - "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" და აკადემიური პროცედურების ინსტიტუციური წესებით, რომლებიც შემუშავებულია და დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (2022 წლის 23 ივლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილება №67 (21/22)). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ უნივერსიტეტი ფუნქციონირებს საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში, რაც სტუდენტთა მიღების პროცესს სტრუქტურულსა და სტანდარტიზებულს ხდის.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე. გამჭვირვალობას მიღების პროცედურებში მხარს უჭერს კომუნიკაციის მრავალი არხი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ინგლისურად საერთაშორისო აპლიკანტებისათვის და ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობარის საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო აპლიკანტების რაოდენობა მცირეა, უნივერსიტეტი ცდილობს, რომ მათთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზე და ენის მოთხოვნები ნათლად იყოს კომუნიცირებული. უნივერსიტეტი ასევე მასპინძლობს საორიენტაციო დღეებს უცხოელი სტუდენტებისთვის, რაც უზრუნველყოფს დაშვების მოთხოვნებთან დაკავშირებით მათ ინფორმირებულობას. თუმცა, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო სტუდენტებისთვის შეხვედრები ხშირი არ არის უცხოელი აპლიკანტების მცირე რაოდენობის გამო, რაც მიუთითებს ჩართულობის გაუმჯობესების სივრცეზე, ინკლუზიურობის მეტად მხარდასაჭერად.

ადგილობრივი სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია მიზნობრივი შეხვედრების საშუალებით, განსაკუთრებით მობილობით გადმოსული ჯგუფებისთვის. უფროსი სტუდენტები (ტუტორები) ინიშნებიან, რათა პირველკურსელებს დახმარება გაუწიონ მიღების პროცესში და ხელი შეუწყონ პროგრამაში მათ ინტეგრაციას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს ღია კარის დღეებსა და საინფორმაციო სესიებს, რათა პოტენციური სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი დაშვების მოთხოვნებთან დაკავშირებით. ეს მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და სამართლიანობას მიღების პროცესში.

უნივერსიტეტი გამოირჩევა მოქნილობით და სიღრმისეული მიდგომით ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნების მართვაში, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, სადაც B2 დონე სავალდებულოა. უნივერსიტეტის ენების ცენტრს მნიშვნელოვანი როლი აქვს სტუდენტთა ენობრივი უნარების შეფასებასა და მხარდაჭერაში, კურსების შეთავაზებითა და საერთაშორისო სერტიფიკატების (მაგალითად, TOEFL, IELTS) აღიარებით. იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სერტიფიკატი არ აქვთ, ცენტრი ატარებს შიდა გამოცდას. ეს სისტემა უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე თანაბრად მოქმედებს, რაც უზრუნველყოფს ენობრივი სტანდარტების შესაბამისობას. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ B2 დონე უმნიშვნელოვანესია სამაგისტრო დონეზე, მაგრამ სადოქტორო კანდიდატებისთვის ენის რეალური მოთხოვნა, კვლევითი ხასიათის პროგრამებიდან გამომდინარე, უფრო მაღალია. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამებისთვის აუცილებელი ლიტერატურა მთლიანად არ არის ინგლისურ ენაზე, რაც მას ადგილობრივი სტუდენტებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის.

დაშვების მოთხოვნები ლოგიკურად უკავშირდება თითოეული პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მაგალითად, სადოქტორო პროგრამა მოითხოვს კანდიდატებისგან წარმოდგენილი იყოს ნაშრომი მათი კვლევითი ინტერესის სფეროდან, რაც უზრუნველყოფს მზადყოფნას კვლევითი საქმიანობისათვის. ანალოგიურად, სამაგისტრო პროგრამების კანდიდატები ფასდებიან შესაბამისი სფეროს ცოდნაში. ეს ლოგიკური კავშირი წინაპირობებსა და პროგრამის შედეგებს შორის

უზრუნველყოფს, რომ მიღებული სტუდენტები მზად არიან ინსტიტუციის მიერ დადგენილი სასწავლო მიზნების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამებზე მიღების პროცესში შედის ფორმალური კომისია, რომელიც აფასებს კანდიდატებს მათი აკადემიური გამოცდილების, კვლევითი ინტერესებისა და ინგლისური ენის ცოდნის საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს შერჩევის საფუძვლიან და ობიექტურ პროცესს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სადოქტორო საფეხურზე მიღებისთვის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები კარგად არის ორგანიზებული, დაშვების მკაფიო, სამართლიანი და ხელმისაწვდომი წინაპირობებით, რომლებიც შეესაბამება როგორც პროგრამების მახასიათებლებს, ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. უნივერსიტეტის ენების ცენტრს მნიშვნელოვანი როლი აქვს სტუდენტთა ენობრივი უნარების მხარდაჭერაში, ხოლო ინსტიტუცია უზრუნველყოფს მიღების პროცესების ხელმისაწვდომობას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისათვის. მიღების პროცესი გამჭვირვალეა, შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობებით, და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა შესაბამისი ინფორმაცია საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 2 („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა (180 კრედიტი) და „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (180 და 240 კრედიტი) დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე მქონე პირი, რომელიც ფლობს შესაბამის დოკუმენტს, წარმატებით ჩააბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი, შეიძლება გახდეს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაუბარებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურით, დადგენილ ვადებში, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეების, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

შიდა და გარე მობილობა

წინაპირობები (სრული ზოგადი განათლება, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება) უზრუნველყოფს, რომ აპლიკანტები ფლობენ საბაკალავრო განათლებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნას და კომპეტენციებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და სხვა სპეციფიკური ჯგუფებისთვის დაწესებული გამონაკლისები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებს. მობილობის წესები (გარე და შიდა) სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების სამართლებრივ ჩარჩოს.

მიღების კრიტერიუმები მიზანშეწონილია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის, რომელიც მოითხოვს სტუდენტების მიერ ზოგადი განათლების დასრულებას. ერთიანი ეროვნული გამოცდები უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს გააჩნდეთ აკადემიური მზადყოფნის შესაბამისი დონე. უცხოელი სტუდენტებისთვის გამონაკლისები უზრუნველყოფს თანაბარი სტანდარტის დაცვას უცხოური კვალიფიკაციების აღიარებით. წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის მოსალოდნელ შედეგებთან.

პროგრამა უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჩარიცხვას, მკაფიო მითითებების მიხედვით.

დაშვების წინაპირობები, როგორცაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ან უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, ნათლად არის გაწერილი და საჯაროდაა გამოქვეყნებული დაწესებულების მიერ. გარე და შიდა მობილობის შესაძლებლობები კიდევ ერთხელ აჩვენებს სამართლიანობასა და ხელმისაწვდომობას. წინაპირობები სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3,4,6 („ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა; „საჯარო ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა; „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შემდეგია:

ბაკალავრი ხარისხი

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

სფეროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს:
ა) გამოცდას სპეციალობაში - ითვალისწინებს აპლიკანტის ცოდნის დონის შეფასებას ბიზნესის ადმინისტრირებაში (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ბუღალტერია, აუდიტი) ტესტირების საშუალებით;

ბ) უცხო (ინგლისური) ენის გამოცდას, რომელიც ტესტირების გზით ტარდება. აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2 დონეზე, შესაბამისად, გათავისუფლებულია ინგლისური ენის ტესტირებისგან. აგრეთვე, გათავისუფლებულია აპლიკანტი, რომელმაც დაამთავრა საბაკალავრო პროგრამა შესაბამის ენაზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაში ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის გზით, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით N10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილებით - „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების პროცედურის შესახებ“ (N12 (17/18)).

წინაპირობები უზრუნველყოფს, რომ აპლიკანტებს ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი და ჩაბარებული ჰქონდეთ როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდა, ასევე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც მოიცავს სპეციალიზებულ ბიზნეს ცოდნას და უცხო ენის ცოდნის შეფასებას. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მზად იყვნენ იმ მაღალ აკადემიურ დონეზე სწავლისათვის, რაც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო ადმინისტრირების ან სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამებისათვის. წინაპირობები შეესაბამება პროგრამის აკადემიურ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სტუდენტების სათანადო გამოცდილების არსებობას.

მიღების კრიტერიუმები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსსა და მოსალოდნელ შედეგებს. მოთხოვნა, ჩაბარონ გამოცდა როგორც ბიზნეს დისციპლინებში, ასევე უცხო ენაში (ან წარადგინონ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი), უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ფლობდნენ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე წარმატებისათვის საჭირო უნარებს. წინაპირობები პირდაპირ არის დაკავშირებული პროგრამის აკადემიურ ფოკუსსა და სწავლის შედეგებთან.

დაშვების კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს ენის გამოცდებისგან გათავისუფლებას სერტიფიკატების საფუძველზე და მობილობის შესაძლებლობებს, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. წესები საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე ან სხვა ოფიციალურ პლატფორმებზე. წინაპირობები სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა პოტენციური აპლიკანტისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა: „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შემდეგია:

ბაკალავრი ხარისხი

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

-სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რომელიც შედგება შემდეგისაგან: ა) სპეციალობის გამოცდა - ითვალისწინებს აპლიკანტის ცოდნას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისა და გლობალური კონტექსტის, ბოლონიის პროცესისა და უმაღლესი განათლების გლობალიზაციის შესახებ; ბ) უცხო ენაში (ინგლისურში) გამოცდა ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2

დონეზე, შესაბამისად, გათავისუფლებულია ინგლისური ენის ტესტირებისგან. აგრეთვე, გათავისუფლებულია აპლიკანტი, რომელმაც დაამთავრა საბაკალავრო პროგრამა შესაბამის ენაზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაში ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის გზით, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით N10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილებით - „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების პროცედურის შესახებ“ (N12 (17/18)). წინაპირობები სრულად შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო კანონებსა და რეგულაციებს.

წინაპირობები მოიცავს ბაკალავრის ხარისხს, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებას და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, რომელიც აფასებს საგანმანათლებლო სისტემების ცოდნას როგორც საქართველოს, ისე გლობალურ კონტექსტში, ასევე ცოდნას ბოლონიის პროცესისა და უმაღლესი განათლების გლობალიზაციის შესახებ. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს გააჩნდეთ პროგრამის ფოკუსთან შესაბამისი წინარე ცოდნა. წინაპირობები უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს ჰქონდეთ პროგრამის სპეციალიზაციის სფეროში აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომლებიც უკავშირდება საგანმანათლებლო სისტემებს და გლობალურ ტენდენციებს.

მიღების მოთხოვნები პირდაპირ უკავშირდება პროგრამის შინაარსს, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო სისტემების, გლობალური კონტექსტისა და უმაღლესი განათლების პოლიტიკის (მაგალითად, ბოლონიის პროცესის) მაღალ დონეზე გაგებას. ეს თემები განათლების სფეროში მნიშვნელოვანია, ხოლო უცხო ენის ცოდნის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს შეეძლოთ გლობალურ კვლევებთან და ლიტერატურასთან მუშაობა. წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

მიღების კრიტერიუმები, მათ შორის ენის ტესტირებისგან გათავისუფლების შესაძლებლობები, მკაფიოდ არის განსაზღვრული, სამართლიანია და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მობილობის შესაძლებლობები ასევე ხელს უწყობს უფრო ფართო სპექტრის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდას. წინაპირობები სამართლიანი და ხელმისაწვდომია, ხოლო პროცესი გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 („ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამა)

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის ან ეკონომიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ორი სარეკომენდაციო წერილის წარდგენა აკადემიური წრეებიდან, რომელიც წარედგინება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას;

-დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ინტერესის სფეროდან რეფერატის წარდგენა;

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუში, ან ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი/სერთიფიკატი (TOEFL, IELTS, CPE ან სხვა), ან ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა);

- უნივერსიტეტში სპეციალობისა და უცხო ენის გამოცდის ჩაბარება. -უცხო (ინგლისური) ენის გამოცდა ტესტირების ფორმატში ტარდება. აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს B2 დონეზე უცხო ენის ცოდნის სერთიფიკატს, შესაბამისად, გათავისუფლებულია ინგლისური ენის ტესტირებისგან. აგრეთვე, ტესტირებიდან გათავისუფლებულია აპლიკანტი, რომელმაც დაამთავრა საბაკალავრო პროგრამა შესაბამის ენაზე.

თუ შესარჩევ გამოცდებში დაგროვილი ქულები თანაბარია, უპირატესობა მიენიჭება კანდიდატებს, რომლებიც გამოირჩევიან კვლევითი საქმიანობითა და პუბლიკაციებით, საზღვარგარეთ სტაჟირებითა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით (რომელიც დოკუმენტურად უნდა იყოს დამტკიცებული).

სადოქტორო პროგრამაზე შიდა და გარე მობილობის გზით ჩარიცხვა შესაძლებელია შემდეგი პირობებით:

-უნივერსიტეტში სპეციალობის გამოცდის ჩაბარება;

- ინგლისური ენის B2 დონის ტესტის ჩაბარება ან ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა - დიპლომი, სერთიფიკატი, ინგლისურენოვან პროგრამებში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- დისერტაციის შესრულებული ნაწილის ან სამეცნიერო ინტერესის სფეროდან რეფერატის წარდგენა;

- ორი სარეკომენდაციო წერილის წარდგენა აკადემიური წრეებიდან, რომელიც მიემართება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას;

თუ სადოქტორო კანდიდატი სწავლის გაგრძელებას ქართულენოვან პროგრამაზე გეგმავს და ქართული არ არის მისი მშობლიური ენა, მან უნდა წარადგინოს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

წინაპირობები მოითხოვს ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის ან ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს, რაც პროგრამის აკადემიურ ფოკუსს შეესაბამება. სარეკომენდაციო წერილების, რეფერატისა და ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა უზრუნველყოფს იმას, რომ კანდიდატები ფლობდნენ საჭირო აკადემიურ მომზადებას და კვლევით ორიენტაციას. მიღების კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ფლობდნენ შესაბამის აკადემიურ კვალიფიკაციას და კვლევით კომპეტენციას, რაც აუცილებელია დოქტორანტურაში წარმატებისთვის.

სტუდენტთა მობილობის საკითხები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ წესებს.

სადოქტორო პროგრამა მოითხოვს სამეცნიერო ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული რეგულაციის წარდგენას, ასევე ჩარიცხვამდე ხელმძღვანელთან შეთანხმებას. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მზად იყვნენ ინტენსიური კვლევითი სამუშაოსათვის. ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია, სადოქტორო კვლევისა და აკადემიური თანამშრომლობის გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით. პროგრამის წინაპირობებსა და კვლევით ორიენტაციას შორის ლოგიკური შესაბამისობა აშკარაა. მიღების კრიტერიუმები მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამის კვლევით შინაარსსა და შედეგებთან. გარდა ამისა, დაწესებულება უზრუნველყოფს კვლევაზე ორიენტირებულ მიდგომას დოქტორანტურაში, თითოეულ ხელმძღვანელზე მაქსიმუმ სამი დოქტორანტის შეზღუდვით, რაც ხელს უწყობს პერსონალიზებულ მენტორობას.

პროგრამა მიყვება მიღების კომისიურ წესს, როგორც ეს მოთხოვნილია სადოქტორო პროგრამებზე. დოქტორანტურის პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება ფორმალური კომისიის მიერ, რაც უზრუნველყოფს, რომ კანდიდატები საფუძვლიანად შეფასდნენ მათი აკადემიური გამოცდილების, კვლევითი ინტერესებისა და უცხო ენის ცოდნის მიხედვით. უნივერსიტეტი ახალ სადოქტორო პროგრამაზე 5-7 კანდიდატის მიღებას ისახავს მიზნად, რაც შესაძლებელს ხდის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს სათანადო თანაფარდობის დაცვას და ეფექტურ მენტორობას. დოქტორანტები მხარდაჭერას იღებენ საერთაშორისო თანამშრომლობით, რაც გამოიხატება თანახელმძღვანელების ჩართულობითა და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ლექციებით, რომელსაც უცხოელი სპეციალისტები (მაგალითად, პოლონეთიდან და უკრაინიდან) ატარებენ. ეს გლობალური ჩართულობა აუმჯობესებს პროგრამების აკადემიურ ხარისხს.

მიღების კრიტერიუმები, მათ შორის კვლევითი საქმიანობისა და პუბლიკაციებისათვის კონკურენტული ქულების გათვალისწინებით, გამჭვირვალეა და საჯაროდ ხელმისაწვდომი. პროგრამა უზრუნველყოფს მობილობის მკაფიო გზებსა და სპეციფიურ გამოწვევებს ენის ტესტირებისათვის, რაც პროცესს სამართლიანსა და ინკლუზიურს ხდის. წინაპირობები სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ვებგვერდი <https://atsu.edu.ge/ge/home>;
- დოქტორანტურის დებულება (დამტკიცებული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N81 რეზოლუციით).
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

- **კლასტერის საერთო რჩევები:** ინკლუზიურობის მხარდაჭერის მიზნით, შესაძლებელია უცხოელი აპლიკანტების (საერთაშორისო სტუდენტების) ჩართულობის გაუმჯობესება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ითვალისწინებს ჯგუფურ მუშაობას, დებატებს, პრეზენტაციებს, ქეისების ანალიზს, ჯგუფურ დისკუსიებს და კვლევითი ნაშრომების, ესეებისა და ანგარიშების მომზადებას. აღნიშნული აქტივობები ინტეგრირებულია სილაბუსებში, თეორიული და პრაქტიკული სწავლების დაბალანსებული კომბინირებისა და სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. ბიზნესისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამების სტუდენტები მონაწილეობენ სტრატეგიული დაგეგმვის პრეზენტაციებსა და რეალურ ქეისებში, რაც განამტკიცებს მათ უნარებს. პროგრამები ხაზს უსვამს ექსტრაკურთუღარულ აქტივობებს, რასაც უნივერსიტეტი მათზე სტიპენდიების დაკავშირებით ახალისებს.

პროგრამების კურსები შექმნილია, რათა შესაბამისობაში იყვნენ სწავლის სპეციფიურ შედეგებთან, როგორცაა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება ისეთ კურსებში, როგორცაა „ციფრული მარკეტინგი“, „საგადასახადო შემთხვევები“ და „პროექტების მართვა“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს მზადყოფნას ინდუსტრიის მოთხოვნებისთვის.

სტუდენტები ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვის პრეზენტაციები, ბიზნეს გეგმის წერა და მუნიციპალური განვითარების ქეისების ანალიზი, რომლებიც ასახავენ სწავლის შედეგებს.

პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები სტრუქტურირებულია განათლების თითოეული დონის სწავლის შედეგების მისაღწევად. ლექტორებს აქვთ ლექციების დაგეგმვის თავისუფლება, რაც იწვევს მლიერად ორიენტირებას პრაქტიკულ მუშაობაზე, განსაკუთრებით ლექციების პირველ კვირებში.

აწსუ მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, რაც მათ საშუალებას აძლევს წარმოადგინონ საკუთარი კვლევითი ნაშრომები.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ მთავრობასთან (მაგ., მერიისა და რეგიონალური ადმინისტრაციის ოფისებთან) და მსხვილ კომპანიებთან (მაგ., TBC ბანკი), რათა უზრუნველყოს სტაჟირება, სადაც სტუდენტები მნიშვნელოვან და რეალურ სამუშაო ამოცანებზე მუშაობენ. გამოსაყოფია სტუდენტთა მენტორობის პროგრამები, სადაც მენტორები უშუალოდ ზედამხედველობენ სტუდენტების მუშაობას და უზრუნველყოფენ შეფასებას, რაც პრაქტიკულ სწავლებას რეალურ პროფესიულ სტანდარტებს არგებს.

პროფესორ-მასწავლებლების აქტიური მონაწილეობა პრაქტიკული ვიზიტებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში მიაწოდებს, რომ სტუდენტები კვალიფიციური პირების ზედამხედველობით გადიან პრაქტიკულ მომზადებას. კურსები, როგორცაა „პროფესიული პრაქტიკა“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში, სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას ბიზნეს გარემოში. ექსპერტები, როგორცაა მოსამართლეები იურიდიული სტუდენტებისთვის და საბანკო მენეჯერები ფინანსური კურსებისთვის, მონაწილეობენ სტუდენტების სწავლებასა და ხელმძღვანელობაში პრაქტიკული საქმიანობის დროს. ხელმძღვანელები არიან კვალიფიციურები, რომელთაგანაც ბევრი გადამზადებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებში (მაგ., შებრუნებული სასწავლო ოთახი და განმავითარებელი შეფასება) . პროცესი, სადაც სტუდენტები ამზადებენ ანგარიშებს და თვითშეფასებებს, რაც შემდეგ მენტორებისა და უნივერსიტეტის მხრიდან ხელმძღვანელების მიერ ფასდება, აძლიერებს შეფასების კრიტერიუმებს. ეს შეესაბამება ინსტიტუციის მიზანს უზრუნველყოს პრაქტიკული უნარების შეძენა და იძლევა უწყვეტი უკუკავშირის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები და შეთანხმებები ბიზნეს ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას გადიან. ეს ხელს უწყობს, რომ პრაქტიკული უნარების განვითარება სწავლის შედეგებზე იყოს მორგებული. ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებთან, მაგალითად ქუთაისის სავაჭრო პალატასთან შეთანხმებები, სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ სტაჟირებასა და პრაქტიკულ გამოცდილებებში. თუმცა, აღინიშნა, რომ ზოგიერთი მემორანდუმი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, ყველა შეთანხმების განახლება და პროგრამის შედეგების შესაბამისობა.

სტუდენტების მიერ პირდაპირი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ადგილობრივი მმართველობის პროექტებში, პოლიტიკის სტრატეგიასა და ლოგისტიკაში მიაწოდებს მყარ პარტნიორობებზე და პრაქტიკული კომპონენტის სიმდიერეზე.

თიბისი ბანკის მაღალი დასაქმების მაჩვენებელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებში ასახავს პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული სწავლების ბანკის საჭიროებებთან შესაბამისობას. კურიკულუმში ლოგისტიკური დაგეგმვის, რისკების მართვის და მარაგების მართვის ინტეგრირება ტრანსპორტის სექტორის უკუკავშირის საფუძველზე, ხაზს უსვამს ინდუსტრიის სპეციფიკური საჭიროებების პასუხსა და ზრდის დასაქმებადობას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობას ევროპის უნივერსიტეტებთან ხელმოწერილი მემორანდუმების მეშვეობით. ეს შესაძლებლობა სტუდენტებს აძლევს საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და კვლევითი და პრაქტიკული უნარების გაფართოების შესაძლებლობას.

ექსტრაკურკულარული აქტივობები და წლიური სამეცნიერო კონფერენციები სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობებს აძლევს ამ უნარების გამოსაყენებლად. კონფერენციებში, ტრენინგებში, საჯარო ლექციებსა და ბიზნეს ორგანიზაციებში ვიზიტებში მონაწილეობაზე აქცენტი ხელს უწყობს სრულყოფილი საგანმანათლებლო გამოცდილების ფორმირებას. უნივერსიტეტის აქცენტი კლასის მიღმა სტუდენტთა ჩართულობაზე აჩვენებს პრაქტიკული სწავლებისადმი მტკიცე ერთგულებას.

პროგრამები უზრუნველყოფს პრაქტიკული, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებას, ხოლო სტუდენტებს მხარდაჭერას უწევენ კვალიფიციური ხელმძღვანელები. გარდა ამისა, ბიზნესებთან და სხვა დაწესებულებებთან ძლიერი პარტნიორობა სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს. ერთადერთი გაუმჯობესების სფერო არის პრაქტიკის ცენტრებსა და დამსაქმებლებთან არსებული მემორანდუმების განახლება, რათა შენარჩუნდეს მათი შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეთანხმებები/ მემორანდუმები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან
- გასაუბრების შედეგები.

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, პროგრამის მიმდინარე შედეგებთან შესაბამისობის გაძლიერების მიზნით განალხდეს არსებული მემორანდუმები.
- კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	□	X	□	□

საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)				
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმალეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	X	☐	☐
7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ირჩევს სწავლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ამ მეთოდებში კურსის ხასიათის მიხედვით შეაქვს ცვლილებები და მათ ასახავს სილაბუსებში. კურსები მოიცავს ლექციებს, პრაქტიკულ სესიებს და ცოდნის განვითარების სტრუქტურულ მიდგომას. მიზნები ორიენტირებულია როგორც თეორიულ გაგებაზე, ასევე პრაქტიკულ გამოყენებებზე, რაც შეესაბამება სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დისკუსიები, ქეისების ანალიზი, როლური თამაშები და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება. თითოეული აქტივობა მიზნად ისახავს კონკრეტულ შედეგებთან შესაბამისობას, როგორცაა ანალიტიკური უნარების განვითარება და კურსის პრინციპების გაგება. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებში, დილემების სავარჯიშოებში, სიტუაციური პრობლემების გადაჭრაში და პრეზენტაციებში. ეს მეთოდები ხელს უწყობს ინტერაქციას და სტუდენტებს პასუხისმგებლიანი ჩართულობისკენ მოუწოდებს, ამავდროულად კი ავითარებს მათ ანალიტიკურ უნარებს. პრაქტიკული გამოყენებები, როგორცაა სამართლებრივი და საბანკო ხელსაწყოების გამოყენება, ასევე მხარს უჭერს უნარების განვითარებას. პროფესორ-მასწავლებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუები, ასევე პრაქტიკულ ხელსაწყოებზე, მაგალითად სამართლებრივ პროგრამულ უზრუნველყოფაზე უკუკავშირი, მიუთითებს, რომ კურსები მორგებულია როგორც შინაარსის, ისე შედეგების მოთხოვნებზე.

სწავლების მეთოდები ეფექტურად რთავს პროცესში სტუდენტებს, ხელს უწყობს ინტერაქციას და ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს. დავალებები, როგორცაა ესეების წერა, პრეზენტაციები და ქეისების ანალიზი, მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნებისა და ავტონომიურობის განვითარებას. რეალური ცხოვრების სცენარების ჩართვა, (მაგალითად „ფულისა და ფინანსური ურთიერთობების“ კურსში ბიუჯეტის დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი) ავითარებს ანალიტიკურ და პრაქტიკულ უნარებს.

უკუკავშირის მექანიზმები (მაგ., ინტერაქციული მეთოდებით იზრდება დასწრება) მიუთითებს ადაპტირებად მიდგომაზე, რომელიც აფასებს ჩართულობას.

მეთოდები და პოლიტიკა მიუთითებს მოქნილ მიდგომაზე, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებებს. დამატებით, უნივერსიტეტის ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის შესახებ უზრუნველყოფს დამატებით მოქნილობას, რაც ცვლილებებისა და მორგების საშუალებებს იძლევა განსაკუთრებული საჭიროებებისა და ინტერესების მქონე სტუდენტებისათვის.

კულტურულ მორგებასთან დაკავშირებით პირდაპირი მონაცემები არ არსებობს, თუმცა, მოქნილი და ინდივიდუალური მიდგომები მიუთითებს ჩარჩოზე, რომელსაც შეუძლია მოიცვას საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებებიც. ინგლისურენოვანი რესურსების გამოყენება და მოქნილი სასწავლო სტრატეგიები ხელს უწყობს სხვადასხვა წარმოშობის სტუდენტების ჩართულობას.

COVID-19 პანდემიის დროს კურსების ადაპტაცია მოხდა ონლაინ პლატფორმებზე (Microsoft Teams, Moodle), რაც ციფრულ სწავლებაზე ეფექტურად გადასვლის უნარს ადასტურებს. . უნივერსიტეტმა წარმატებით დაწერა დისტანციური სწავლება ისე, რომ საგანმანათლებლო შედეგებზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N30 (17/18) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების რეგულაციების შესახებ, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (2017 წლის 5 დეკემბერი)
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

- **კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, სილაბუსებში ან პროგრამის სტრუქტურაში უფრო დეტალურად იქნას გაწერილი კულტურულად მგრძნობიარე ცვლილებები ან საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო	X	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. შეფასების ფორმებია შემდეგი: შუალედური შეფასება - 30 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა; საბოლოო გამოცდა - 40 ქულა. სტუდენტები, რომლებიც შუალედურ შეფასებაში მინიმუმ 24 ქულას დააგროვებენ, დაიშვებიან საბოლოო გამოცდაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა მოიცავს 5 ტიპის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ასევე ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში მიეწოდებათ კონკრეტული სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ, სილაბუსის წარდგენის საშუალებით. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ფაკულტეტის დეკანატი, დეკანთან, მოადგილეებთან და მდივნებთან ერთად, სტუდენტების ინფორმირებაში აქტიურად არის ჩართული, სხვადასხვა სასარგებლო ინფორმაციის შესახებ. ამ მიზნით, ისინი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს/საშუალებებს იყენებენ, მათ შორის კორპორატიულ/საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტას. ფაკულტეტი ინტერდისციპლინურია და სტუდენტთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, ამიტომ დეკანატში საკითხები სასწავლო პროგრამების მიხედვით არის დელეგირებული, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად მიიღოს საჭირო უკუკავშირი.

როგორც აღინიშნა, სწავლის დაწყებამდე ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელი, და თავად რექტორიც კი, ხვდება სტუდენტებს. გადმოსული სტუდენტებისთვის ცალკე შეხვედრები იმართება, სადაც მათ საჭირო ინფორმაციას უზიარებენ, რათა სტუდენტმა შეძლოს ახალ გარემოში ეფექტურად ინტეგრირება.

სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ცოდნის შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები გამჭვირვალეა. ამ მიმართულებით, შეფასების კრიტერიუმების

დეტალური გადანაწილება კონკრეტულ ქულების დართვით შეიძლება აღინიშნოს, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. ვიზიტის დროს უნივერსიტეტში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოთქმულა, ამ მხრივ მხოლოდ დადებითი შეფასებები გაჟღერდა.

აკადემიური საბჭოს დადგენილებით, 2017 წლიდან დამტკიცდა გამოცდების გასაჩივრების პროცედურა. შესაბამისად, იმ სტუდენტებს, რომლებიც არ ეთანხმებიან საბოლოო გამოცდის შედეგებს, დადგენილ ვადებში აქვთ უფლება, გამოიყენონ გასაჩივრების მექანიზმი. როგორც სესიებზე აღინიშნა, ასეთი პრეცედენტი არსებობდა კლასტერში წარმოდგენილ კონკრეტულ პროგრამასთან დაკავშირებით და პროცესი ეფექტურად განხორციელდა. ასეთ დროს იმ სტუდენტების ვინაობა, რომლებმაც გასაჩივრებაზე შეიტანეს განცხადება, კონფიდენციალურია.

შეფასების სისტემა ასევე აღიარებს ხუთი ტიპის დადებით და ორი ტიპის უარყოფით შეფასებას კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, ისინი დეტალურად არის აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სილაბუსში.

სტუდენტი, რომელმაც დააგროვა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რაოდენობის კრედიტები, დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, თუ დადგენილ ვადებში დროულად წარადგინა სამაგისტრო ნაშრომი, წარადგინა ნაშრომზე პლაგიატის ანგარიში; წარადგინა ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი დასკვნები ნაშრომზე.

რაც შეეხება „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, როგორც აღინიშნა, აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებდა 2018 წლამდე, რის შემდეგაც პროგრამის ხელმძღვანელმა მისი განხორციელება შეაჩერა.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულების პროცედურები, ასევე სადისერტაციო საბჭოს დებულება და სადოქტორო სწავლების განხორციელების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად მოიცავს ინფორმაციას ნაშრომის დიზაინის, შეფასების სისტემის, დაცვის საჯაროობის, კომისიის შემადგენლობის, ასევე ხელმძღვანელებისა და რეცენზენტების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესახებ.

სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები თავიანთ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს აწვდიან ინფორმაციას აკადემიური სტილის მოთხოვნების, ნაშრომის შესრულების წესებისა და შეფასების სისტემის შესახებ. დისერტაციის შეფასებაში გარე შემფასებლის მონაწილეობა უზრუნველყოფილია.

სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასება ხუთი ტიპის დადებით შეფასებას მოიცავს:

- A) ფრიადი *summa cum laude* – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;
B) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;
C) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – 71-80 ქულა;
D) საშუალო (*bene*) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; – 61-70 ქულა;
E) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა.

ნაშრომი შეიძლება შეფასდეს ორი ტიპის უარყოფითი შეფასებით:

(FX) არასაკმარისი - არადაამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41- 50 ქულა – ასეთ შემთხვევაში, სადოქტორო კანდიდატმა ერთ წელიწადში უნდა წარადგინოს გადამუშავებული ნაშრომი;

(F) სრულიად არასაკმარისი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა ან ნაკლები – ასეთ შემთხვევაში, სადოქტორო კანდიდატი კარგავს უფლებას, ხელახლა წარადგინოს იგივე ნაშრომი დასაცავად.

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევების აღმოჩენის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად იყენებს Turnitin პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- - კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებები (სტუდენტთა შეფასების სისტემა; აპელაციის პროცედურა)
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- დოქტორანტურის დებულება
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული
კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული
რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	X	☐	☐	☐
7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.	X	☐	☐	☐

3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას; ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო გზამკვლეობისა და ხელმძღვანელობის ჯეროვანი ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას/ინფორმაციას კურიკულუმის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ სხვადასხვა, მათ შორის ინტერპერსონალური და დისტანციური, საშუალებებით. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. ვიზიტის დროს აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების ინფორმირების საკითხი წესრიგშია.

საინფორმაციო და საკონსულტაციო კამპანიები უნივერსიტეტში იმართება სემესტრის დასაწყისში. ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის დაგეგმილია საორიენტაციო შეხვედრები, სადაც ისინი დეტალურად ეცნობიან საუნივერსიტეტო გარემოს, სტუდენტურ ცხოვრებას, სერვისებს და სხვადასხვა გამოსადეგ ინფორმაციას.

სტუდენტების ინფორმირებისთვის გამოიყენება რამდენიმე საკომუნიკაციო არხი, მათ შორის უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა, რომელიც სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ონლაინ პლატფორმები: Microsoft Teams და Moodle. აღნიშნულ პლატფორმებზე სტუდენტებს სთავაზობენ დისტანციურ სწავლებას, ელექტრონული სწავლების კურსებს, სახელმძღვანელოებს და ა.შ.

სტუდენტებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ასევე გამოიყენება უნივერსიტეტის ვებგვერდი და Facebook გვერდი; შექმნილია სპეციალური აპლიკაცია ATSU NEWS, რომელიც ეფექტურად გამოიყენება სტუდენტების ინფორმირების ნაწილში, შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა სიახლეების, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და სხვ. სასურველი ინფორმაციის ან სერვისის მისაღებად უნივერსიტეტს ასევე აქვს სპეციალური ელ.ფოსტა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სამსახურები: სტუდენტებთან და უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურებთან მედიაციისა და კონსულტაციების სამსახური; სტუდენტთა კარიერული

განვითარების სამსახური; კურსდამთავრებულთა ქსელი; იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები და სხვა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც აქტიურად აცნობს სტუდენტებს ვაკანსიებსა და სტაჟირების პროგრამებს; ასევე, აწყობს ტრენინგ კურსებს დასაქმებისთვის საჭირო უნარების განსავითარებლად. დამსაქმებლებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებთან, რაც შეგვიძლია დავასახელოთ, როგორც პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა და ძლიერი მხარე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქტიურად ეგზავნება ინფორმაცია სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმაციით, გაცვლითი პროგრამით სხვადასხვა დროს ისარგებლა აწსუ-ს ბევრმა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა. გაცვლითი პროგრამის ობიექტები ასე გამოიყურება: University of Versailles, საფრანგეთი; University of Alcalá, ესპანეთი; Mendel University ბრნოში, ჩეხეთის რესპუბლიკა; ნორვეგიის Southeastern University ; Consortium of Universities of Minho, Évora and Aveiro (PEERS), პორტუგალია; University of Thessaloniki, საბერძნეთი. წარმოდგენილ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა არ არის შესაფერის დონეზე. მოწოდებულ დოკუმენტში 2018 წლიდან 2024 წლამდე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების 5 სტუდენტი და 2 აკადემიური პერსონალი. ცხადია, ამ მიმართულებით - საერთაშორისო მობილობის გასაძლიერებლად, იქნება ეს სემესტრული გაცვლითი პროგრამების მიმართულებით თუ მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტები, მეტი ძალისხმევაა საჭირო.

ვიზიტის დროს ასევე დადგინდა, რომ სხვადასხვა დონის სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში საჭიროებს მნიშვნელოვან ჩარევას, რათა მეტად გაუმჯობესდეს არსებული მდგომარეობა და რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტების გამოხმაურების ძლიერი მექანიზმი, რომელიც ხორციელდება პერიოდული გამოკითხვების მეშვეობით. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური აანალიზებს გამოკითხვით მიღებულ შედეგებს და დგამს შესაბამის ქმედით ნაბიჯებს. კითხვარი მოიცავს სტუდენტების კმაყოფილების შესწავლას და საკითხებს სხვადასხვა მიმართულებით: საუნივერსიტეტო მომსახურება, ინფრასტრუქტურა, სასწავლო კურსი და მისი მასწავლებელი, ბიბლიოთეკის გამოყენება, აკადემიური ხელმძღვანელი, შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა აუცილებელი საკითხები. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარის ანალიზის შედეგები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარკვეულ საკითხებს, რაზეც

სასურველია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურმა ან შესაბამისმა დეპარტამენტმა მიმართოს დამატებითი ძალისხმევა, რათა შეძლოს გამოკითხვის შედეგებში გამოვლენილ საგულისხმო საკითხებზე დროული რეაგირება.

რაც შეეხება პროფესორების საკონსულტაციო საათებს, ისინი ჩაწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები მზად არიან დამატებითი კონსულტაციების გასაწევად, იქნება ეს საგანთან თუ სხვა შესაფერის საკითხებთან დაკავშირებით.

2018 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი, რომლის მთავარი მისიაა სტუდენტების ინტერესების დაცვა. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული ექსტრაკურთუკულური საქმიანობის წახალისებაში; ეწყობა სტუდენტური დღეები, რომლებშიც გაერთიანებულია შემეცნებითი, კულტურული, საშემსრულებლო, მხატვრული, სპორტული და სხვა აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სია
- ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური
- ელექტრონული პორტალები/პლატფორმები
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა სემესტრულ გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის გზით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა.
- **კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოკითხვის შედეგების პრობლემურ ნაწილებს, იმისათვის, რომ დროულად გადაიდგას შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (180 კრედიტი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (240 კრედიტი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ტრანსპორტის ლოჯისტიკაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 7 (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	☐	X	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ ქვესტანდარტში, მსჯელობა დიდწილად იქნება კლასტერში წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებზე. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას, სესიაზე წარმოდგენილი იყვნენ მომიჯნავე დარგების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეჩერებული იყო 2018 წლიდან.

კლასტერში წარმოდგენილ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთა კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, სამეცნიერო ნაშრომებით და შეესაბამება ხარისხის მოთხოვნებს, ასევე პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. როგორც ვიზიტის დროს სხვადასხვა სესიაზე აღინიშნა, ხელმძღვანელი მხარს უჭერს მაგისტრანტს/დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ხელმძღვანელი ეხმარება მაგისტრანტს/დოქტორანტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. პერიოდულად ამოწმებს თემაზე მუშაობის მიმდინარეობას, აკეთებს კომენტარს და უწევს შესაბამის კონსულტაციას. სამუშაოს დასრულების შემდეგ იგი ამზადებს წერილობით დასკვნას.

ერთ ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს მაქსიმუმ ხუთ სტუდენტს. საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში, თუ თემა ინტერდისციპლინურია, შესაძლებელია თანახელმძღვანელის დანიშვნა. ამ კუთხით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი წესი. ვიზიტის დროს შესაბამის სესიებზე დადასტურდა თანახელმძღვანელის დანიშვნის პრაქტიკა.

სამეცნიერო ხელმძღვანელებს, თემებს და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. თემების შერჩევა ხდება შემდეგნაირად: აკადემიური პერსონალი წარუდგენს თემების ჩამონათვალს პროგრამის ხელმძღვანელს, ხოლო იგი უზიარებს თემების ჩამონათვალს მაგისტრანტებს. მაგისტრანტები ირჩევენ სამეცნიერო ხელმძღვანელს მათთვის საინტერესო თემების მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის აკადემიური დატვირთვა მოიცავს რეგულარულ კონსულტაციებს, რომელთა სიხშირე შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და კვლევით თემას.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას. მაგისტრანტებს ეგზავნებათ სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ შეაფასონ სამეცნიერო ხელმძღვანელი: გაიზიარონ დადებითი ან უარყოფითი გამოცდილება.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, აქ უნდა აღინიშნოს გარკვეული გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვანია შემდგომი განვითარებისთვის. საჭირო სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელმა და მაგისტრანტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილის სრულყოფას, რათა არ დაემსგავსოს რეზიუმეს. საქმე ისაა, რომ წარმოდგენილი ნაშრომების დიდ ნაწილში ლიტერატურის მიმოხილვა შეიცავს სხვადასხვა წიგნების, სახელმძღვანელოების თუ სამეცნიერო წყაროების ჩამონათვალს და მათ მცირე განხილვას, რაც მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა, მაშინ როცა, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მაგისტრანტს შეუძლია შევიდეს „დიალოგში“ მის თემაზე დაწერილი სამეცნიერო წყაროების ავტორებთან და ღიად დააფიქსიროს თავისი მოსაზრებები, რას იზიარებს ან არ იზიარებს კონკრეტული მეცნიერის თვალსაზრისიდან. ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილის შევსება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვისა და მეორე მხრივ, მეცნიერული ინოვაციების დასაბუთებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამაგისტრო ნაშრომებში მეთოდოლოგიური ნაწილის სრულყოფას. ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომი მიეკუთვნება სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომების რიცხვს, საჭიროა არა მხოლოდ დარგისთვის შესაბამისი მეთოდების წარმოდგენა, არამედ მათი დეტალური ახსნა და გამოყენების თავისებურებების განხილვა.

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად სასურველია ხელმძღვანელმა აკონსულტაციო საათები ისე გაანაწილოს, რომ მეტი დრო დაეთმოს წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტების სრულყოფას. გარდა ამისა, პერმანენტული ტრენინგებით შესაძლებელია ამ მიმართულებით საჭირო უნარების გამომუშავება, რაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო ნაშრომების დასრულების პროცესში.

**მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან
დაკავშირებული მონაცემები**

პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა ³	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	20
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	22
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,91
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
პროგრამა 4 საჯარო ადმინისტრირება, მაგისტრატურა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	10
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	12
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,83
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
პროგრამა 5 ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	

³ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	არ ეხება
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 6 ტრანსპორტო ლოჯისტიკა, მაგისტრატურა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	18
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	არ ეხება
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	არ ეხება
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 7 ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	7
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	არ ეხება
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	არ ეხება

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	
--	--

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები
- o სამაგისტრო ნაშრომის დასრულების წესი
- o სადისერტაციო საბჭოს დებულება
- o დოქტორანტურის ჩატარების პროცედურა
- o სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი
- o სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ხელმძღვანელთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- o გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამები 3, 4, 5, 6, (მხოლოდ სამაგისტრო პროგრამები)

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

რჩევები:

- სასურველია, მეთოდოლოგიის და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში ხელმძღვანელებმა გამოყონ მეტი საკონსულტაციო საათები.
- სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მუდმივად ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (180 კრედიტი))	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (240 კრედიტი))	☐	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ტრანსპორტის ლოჯისტიკაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 7 (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
--	---------------------------------	---	---	------------------------------

პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (180 კრედიტი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (240 კრედიტი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი))	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ტრანსპორტის ლოჯისტიკაში)	☐	X	☐	☐
პროგრამა 7 (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)	☐	X	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/

საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➤ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი განათლების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს მისი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, უნარები და კომპეტენციები. ვინაიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ცდილობენ დააკმაყოფილონ საგანმანათლებლო სტანდარტები და გააუმჯობესონ სტუდენტების სწავლის შედეგები, აკადემიური პერსონალის სპეციფიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა გახდა უმნიშვნელოვანესი. კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი მუშაობს შესაბამისი კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა პოლიტიკის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობას აწეს-ს პროგრამებზე განსაზღვრავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო №173 (28.02.2018წ.) დადგენილებით, რომელიც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სტუდენტთა ჯგუფების სიდიდე და საშუალო ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვა, როგორც აკადემიური ჯგუფისათვის, ისე დაკავშირებული პროფესორებისათვის. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების დატვირთვას. მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა არასოდეს არ არის 1.0-ზე მეტი, რაც ასევე დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებზე.

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ კვალიფიციური პირები, რომლებსაც გააჩნიათ სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო გამოცდილება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაკომპლექტების დონე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურ მიმდინარეობას, ასევე სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი საქმიანობის და სხვა დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისთვის.

პროგრამებზე აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ყველა რეგულაციის შესაბამისად. პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ, ყოველი ვაკანსიის საჯაროდ გამოცხადებით, რაც უზრუნველყოფს ღია კონკურსს.

აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ოდენობა განისაზღვრება შინაგანაწესით „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლებისა და საკონტრაქტო სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები“. ინტერვიუებში აღნიშნული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობდა ინფორმაციას შინაგანაწესისა და საჭირო დატვირთვის შესახებ. დაწესებულება, წლის დასაწყისში, ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ამუშავებს სამეცნიერო და სასწავლო დატვირთვის ინდივიდუალურ გეგმებს, რაც კარგი პრაქტიკაა. სამუშაო დატვირთვის დაწესებული სქემა მოიცავს წელიწადში 1500 საათს, რაც მოიცავს: 500 საათს - სასწავლო დატვირთვისათვის, 1000 საათს -

სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოსათვის. თუმცა, რამდენიმე ინდივიდუალურ დატვირთვის გეგმაში სწავლების საათების რაოდენობა აღემატებოდა შინაგანაწესით განსაზღვრულ მაქსიმალურ საათებს.

კვალიფიციური დამხმარე პერსონალის რაოდენობა საკმარისია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევაში წვლილის შესატანად. ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ლაბორატორიის, სტუდენტური სერვისებისა და დეკანატში სპეციალისტებსა და დამხმარე პერსონალს შორის თანამშრომლობა ორიენტირებულია საგანმანათლებლო მიზნების მიღწევასა და სასწავლო პროცესის შედეგების გაღრმავებაზე. დამხმარე პერსონალის როლები და პასუხისმგებლობები ასახულია მათ სამუშაო აღწერილობაში, რომელიც შეტანილია ფაკულტეტის დებულებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (180 კრედიტი)

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური პირები, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო გამოცდილება დასახული სწავლის მიზნების მისაღწევად. პროგრამა დაკომპლექტებულია სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალით, რაც იძლევა სტუდენტების დახმარების საშუალებას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 59. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 1,87. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისთვის.

არის პროგრამის კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სწავლის სფეროში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდთან, სტუდენტებთან და სხვა შესაბამის მხარეებთან ერთად, სრულად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში.

დაწესებულება, წლის დასაწყისში, ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ამუშავებს სამეცნიერო და სასწავლო დატვირთვის ინდივიდუალურ გეგმებს, რაც კარგი პრაქტიკაა. სამუშაო დატვირთვის დაწესებული სქემა მოიცავს წელიწადში 1500 საათს, აქედან 500 საათს - სასწავლო დატვირთვისათვის, 1000 საათს - სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოსათვის. თუმცა, ზოგიერთ ინდივიდუალურ დატვირთვის გეგმაში სწავლების საათების რაოდენობა აღემატებოდა შინაგანაწესით განსაზღვრულ მაქსიმალურ საათებს.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი დაკომპლექტებულია 10 კაცით, რომლებსაც შეუძლიათ პროგრამის სტუდენტებისათვის დროული და ადეკვატური დახმარების გაწევა.

პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (180 კრედიტი)⁴				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს ⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

⁴ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

⁵ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)				
სულ აკადემიური პერსონალი	59			37
- პროფესორი	6			
- ასოცირებული პროფესორი	30			
- ასისტენტ-პროფესორი	2			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	21			—
სამეცნიერო პერსონალი				—

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (240 კრედიტი)

